ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 11 ივლისი, 2017 №162 (7397) ფასი: 50 თეთრი

დავით ზურაბიშვილი: „ქართულ ოცნებაში“ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებია — ეს ივანიშვილის მართვის სტილია“

გვ.4

ივანიშვილი კალაძეზე კომპრომატების გამოქვეყნებას აპირებს?

გვ.3

ლევან ხაბეიშვილი: „ყოფილი პრემიერი ამერიკელების ინიციატივის შემდეგ გაუჩინარდა“

„არაა გამორიცხული, პოლიტიკურ სცენაზე ირაკლი ღარიბაშვილი გამოვიდეს“



გელა ნიკოლაიშვილი: „ფარმან ჯეირანლის დაპატიმრებაში აზერბაიჯანის ინტერესი იკვეთება“

გვ.2

„ქირურგმა კაზიმმა, ვინც ოპერაციები გააკეთა, გვითხრა, ოპოზიციონერის დახმარებად ჩამითვლიან ჩემს ჩვენებასო“

გვ.5

პატრიოტთა ალიანსი მოსკოვში კალაშნიკოვთან წავიდა

არჩილ თალაკვაძე: „ეს არ არის საპარლამენტო მივლინება“

გვ.5

„ოხრახუშით, ქინძით და ღვინით ვაჭრობას ეწირება საქართველოს ინტერესები“

მამუკა გვაძაბია: „მოჩვენებითი სიმშვიდე დამღუპველია“

ISSN 1987-9385

ეკა ბესელია ფოტორეპორტიორების საქმეზე დაიკითხება



გვ.2

გვ.4

გიორგი მღებრიშვილი: „ჩვენ ხელოვნურად ვერ დავდგამთ აფგან მუხთარლის გატაცების სცენებს“

გელა ნიკოლაიშვილი: „ფარმან ჯეირანლის დაპატიმრებაში აზერბაიჯანის ინტერესი იკვეთება“

„ქირურგმა კაზიმმა, ვინც ოპერაციები გააკეთა, გვითხრა, ოპოზიციონერის დახმარებად ჩამითვლიან ჩემს ჩვენებასო“

ნონა ცაბაძე

მკითხველისთვის ცნობილია, რომ „ახალი თაობა“ დეტალურად წერდა კლინიკა „ლანცეტში“ მომხდარი ამბების შესახებ. კლინიკაში ჩატარებული წარუმატებელი ოპერაციის შედეგად, რომლის დროსაც ორი პაციენტი დაიღუპა, მაისში კლინიკის დამფუძნებელი ფარმან ჯეირანლი დააკავეს.

ხვალ ფარმან ჯეირანლის საქმეზე წინასასამართლო მოსმენა გაიმართება.

დაკავებულის ადვოკატი **გელა ნიკოლაიშვილი** მიიჩნევს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი საქართველოში მცხოვრები ოპოზიციის მხარდაჭერის გამო დააკავეს.

გასულ კვირას გელა ნიკოლაიშვილი აზერბაიჯანში იმყოფებოდა, სადაც იმ ქირურგს შეხვდა, ვინც კლინიკა ლანცეტში ღვიძლის გადანერგვის ოპერაცია ჩაატარა, რომელიც ლეტალურად დასრულდა და რის გამოც მისი კლიენტი დაკავებულია.

– ბატონო გელა, რა ახალი დეტალები იკვეთება ფარმან ჯეირანლის საქმეში?

– 12 ივლისს ჩანიშნულია წინასასამართლო სხდომა ფარმან ჯეირანლის მიმართ, რომელიც შპს ლანცეტის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი იყო. ის დააპატიმრეს 21 მაისს იმის გამო, რომ 1 წლითა და 2 თვით ადრე, 2016 წლის 3 და 8 მარტს გაკეთდა ღვიძლის გადანერგვის ორი ოპერაცია, რომლებიც ლეტალური შედეგით დასრულდა.

ეს ორი ოპერაცია გააკეთა მირჯალალ კაზიმიმ, რეგიონში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა პროფესორმა. ის აზერბაიჯანელია, მან განათლება თურქეთში მიიღო და თურქეთის იზმირის კლინიკაში მუშაობს. ამ ოპერაციების შედეგი არ არის მოულოდნელი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ასეთი ოპერაციების 20-30% მთავრდება ლეტალური შედეგებით. თუნდაც ამის ბოლო მაგალითია ის სამწუხარო ფაქტი, რომელიც მოხდა სულ ერთი კვირის წინ თურქეთში, როდესაც ცნობილმა ტრანსპლანტოლოგმა, კილიჩმა, რომელიც მსოფლიო ათეულში შედის, გაუკეთა ოპერაცია 15 წლის ახალგაზრდა გოგონას, თენგიზ სიგუას შვილიშვილს, რომლის დონორიც იყო საკუთარი დედა, მაგრამ ორგანიზმმა არ მიიღო და გოგონა გარდაიცვალა.

გადანერგვის ოპერაციები იშვიათად ტარდება. ასეთი ოპერაციები 15-20 წელია, რაც ტარდება. ფარმან ჯეირანლის სურდა, რომ საქართველოშიც ჩატარებულიყო ასეთი ოპერაციები. უფრო მეტიც, ის გამხდარიყო ცენტრი რეგიონის და პაციენტები არა უცხოეთში წასულიყვნენ, არამედ საქართველოში გაეკეთებინათ, სადაც არა 100 და 150, არამედ 40 ათასი ჯდებოდა ეს ოპერაციები. კარლო კეკელიძეს, რომელმაც აღნიშნული თანხა გადაიხადა, 3 მარტს გაუკეთდა ეს ოპერაცია. მისი დონორი იყო მისივე ქალიშვილი. კეკელიძემ ზუსტად ერთი კვირა იცოცხლა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ფეხზეც ადგა ეს ადამიანი, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად დაიღუპა.

– მეორე ოპერაციაც ამ პერიოდში ჩატარდა?

– მეორე ოპერაცია გაკეთდა 8 მარტს. გიორგი ჩუბინიძეს გაუკეთდა ოპერაცია, რომლის დონორიც იყო მისი ბიძაშვილი. მანაც ერთი კვირა იცოცხლა და 15 მარტს გარდაიცვალა.

– რატომ დააკავეს მაინცდამაინც ჯეირანლი, როცა ოპერაცია სხვამ ჩაატარა? რა არის მისი დანაშაული?

– კაზიმს, რომელიც დღესაც მუშაობს აზერბაიჯანში, არათუ ვინმე რაიმეს ედავება, არც კი დაუკითხავთ საგამოძიებო ორგანოებს.

– თქვენ შეხვდით კაზიმს?

– დიახ, ჩვენ გადავწყვიტეთ დაგვეკითხა. მე გახლდით აზერბაიჯანში თარჯიმანთან ერთად, რათა ოფიციალურად გამოგვეკითხა, შეგვედგინა ოქმი. ჩვენთან ერთად აზერბაიჯანში იმყოფებოდა ლანცეტის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც კარგად იცნობდა იქაურ გარემოს, იმ საავადმყოფოს, სადაც კაზიმი მუშაობს. ჩვენ იქ გამოვკითხეთ მირზალარ კაზიმის 7-8 პაციენტი, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ძალიან ემადლიერებიან მას და ამბობენ, რომ სწორედ მან აჩუქა სიცოცხლე.

– ბევრი ასეთი ოპერაცია აქვს საქართველოს მოქალაქეებისთვის გაკეთებული?

– საქართველოს 26 მოქალაქისთვის აქვს მას გაკეთებული მსგავსი ოპერაცია, ოღონდ არა საქართველოში, არამედ აზერბაიჯანში და თურქეთში. აქედან გამომდინარე, როდესაც ჩვენ აზერბაიჯანში ჩავდიოდით, გვქონდა იმედი, რომ ის გაგვცემდა პასუხს შეკითხვებზე იმ ოპერაციებთან დაკავშირებით, რომელთაც ედავებიან არა მას, არამედ ფარმან ჯეირანლის. რომელიც მხოლოდ დირექტორი იყო და ტრანსპლანტაციასთან შეხება არ აქვს.

რატომღაც ეს მირზარალ კაზიმი დაგხვდა ძალიან შეშინებული. არ პასუხობდა ჩვენს სატელეფონო ზარებზე. გვეუბნებოდა, რომ ხან 40 წუთში მოვიდოდა, ხან 1 საათში და ასე გვემალებოდა. ბოლოს გვითხრა, ჩემი ადვოკატის გარეშე ვერ დაგელაპარაკებითო. ბოლოს დავუყარაულდით კაბინეტთან და მთელი დღის დამალობანას თამაშის შემდეგ, როგორც იქნა, შევხვდით.

– გასცა კაზიმმა თქვენს კითხვებს პასუხი?

– დაახლოებით საათნახევარი ვისაუბრეთ და მთელი ეს დრო ჩვენი მხრიდან დასჭირდა იმის მტკიცებას, რომ ჩვენ პრეტენზია მის მიმართ არ გვაქვს, მხოლოდ გვინდოდა, ესაუბრა ამ ოპერაციებთან დაკავშირებით. თუ მიუძღვის რაიმე დანაშაული ფარმან ჯეირანლის და ასევე ვთხოვეთ, რომ გამოსულიყო სასამართლო პროცესზე. თუ საქართველოში ვერ გაბედავდა ფიზიკურად ჩამოსვლას, სკაიპით მაინც ჩართულიყო.

– ამაზე რა პასუხი მიიღეთ?

– მან კაბინეტში შემოიყვანა თავისი ე.წ. ადვოკატი. ე.წ. იმიტომ ვამბობ, რომ გაგვაცნო როგორც იურისტი, სინამდვილეში კი ის სპეცსამსახურების წარმომადგენელი იყო. მის მითითებებს ასრულებდა. ამ ქალბატონმა არ მისცა საშუალება კაზიმს, რომ რაიმე ეთქვა ჩვენთვის. კაზიმი ამბობდა და ის ქალბატონიც უდასტურებდა ამას, რომ ფარმან ჯეირანლი მიჩნეულია ოპოზიციონერად და ამიტომ ოპოზიციონერის დახმარებად ჩამითვლიან ჩემს ჩვენებას, ამიტომ აქ დიდი უსიამოვნებები შემხვდება, შესაძლოა, სამსახურიც დავკარგოო. ბოლოს ვთხოვეთ, რომ სულ არაფერს შეგეკითხებით ფარმან ჯეირანლიზე, იმაზე მაინც ისაუბრეთ, ამ ოპერაციებმა როგორ ჩაიარა.

– ამაზე თუ დაგთანხმდათ?

– არა, ამაზეც უარი განაცხადა და აპელირებას ახდენდა ჯეირანლის ოპოზიციონერობაზე, რომ თითქოს ოპოზიციონერია, მას აზერბაიჯანში ყველა ცუდი თვალით უყურებს და ასე შემდეგ.

– მართლაც იდევნება ჯეირანლი აზერბაიჯანში? რას საუბრობენ მის შესახებ?

– 4 მაისს აზერბაიჯანულ სამთავრობო პრესაში გამოქვეყნებულია წერილი, სადაც სხვებთან ერთად ჯეირანლიც არის მოხსენიებული ოპოზიციონერთა შორის, რომ თითქოს ის აფინანსებს ოპოზიციას. ეს გამოქვეყნდა მის დაპატიმრებამდე სამი კვირით ადრე.

– ანუ ამ საქმეს პოლიტიკური სარჩული აქვს?

– ის ასე თვლის და მეც დავრწმუნდი ამაში. როგორც ჩანს, პოლიტიკური სარჩული არსებობს და ეს მოსაზრება უსაფუძვლო ნამდვილად არ არის. თავად ფარმან ჯეირანლი ამბობს, რომ არ აქვს შეხება პოლიტიკასთან, არავის აფინანსებს, ბიზნესმენია, მაგრამ ვინაიდან მეგობრობს იმ ხალხთან, რომლებიც აზერბაიჯანიდან თბილისში ჩამოდიან და არიან ოპოზიციონერები, ზოგი მისი პაციენტია და ზოგიც მეგობარი, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ისიც მათ რიგებშია.

ჯეირანლი 21 მაისს დააპატიმრეს და 23 მაისს აზერბაიჯანში კვლავ ქვეყნდება სტატია, რომ საქართველოში აზერბაიჯანელი ოპოზიციონერი თაღლითობის ბრალდებით დააპატიმრეს. ასე რომ, არის სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ საქმეს პოლიტიკური სარჩული აქვს.

ამ ყველაფრის შესახებ ვისაუბრებთ ჩვენ წინასასამართლო სხდომაზე და მოვითხოვთ ჯეირანლისთვის ბრალის მოხსნას და აღმკვეთი ღონისძიების გაუქმებას, უკიდურეს შემთხვევაში კი გირაოთი გათავისუფლებას მაინც.

– თავად ფარმან ჯეირანლიმ უკვე ორჯერ მიმართა საქართველოს პრეზიდენტს ღია წერილით და მისი საქმით დაინტერესება სთხოვა. ის მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანული მხარის მოთხოვნით არის დაპატიმრებული. იზიარებთ მის პოზიციას?

– იმ ბევრი დამთხვევიდან გამომდინარე, რაზეც მე ზემოთ გესაუბრეთ, ჩვენ შეგვიძლია საფუძვლიანი ეჭვი გამოვთქვათ და დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს პოზიცია არ არის საფუძველს მოკლებული და სწორედ აზერბაიჯანული მხარის შეკვეთით მოხდა მისი დაპატიმრება.

– თუკი გადავხედავთ ბოლო პერიოდის პროცესებს, რამდენად გაქვთ იმედი, რომ სასამართლო მას გაამართლებს? რამდენიმე დღის წინ დემირელის სკოლის დამფუძნებელს ეთქვა უარი პოლიტიკური დევნილის სტატუსზე. რას ელით?

– ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს, მოწმეები უნდა დაიკითხონ. ჩვენ უამრავი მტკიცებულება წარვადგინეთ, თითქმის 900 გვერდამდე მასალა წარვადგინეთ წინასასამართლო პროცესზე დასამტკიცებლად. შემდეგში გაგრძელდება გამოძიება და მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები ფარმან ჯეირანლის მხრიდან არ არსებობს და ის, საბოლოო ჯამში, უნდა გამართლეს ამ ბრალდებაში.

თუ 12 ივლისს, ყველანაირი საღი აზრის მიუხედავად, ის მაინც დატოვეს პატიმრობაში, უკვე სხვა არანაირი საფუძველი არ მექნება, გარდა იმისა, ვიფიქრო, რომ ეს სწორედ პოლიტიკური შეკვეთაა და ამიტომ ვერ ბედავს საქართველოს ხელისუფლება, რომ თუნდაც გირაოთი იქნას გათავისუფლებული. ველოდებით პროცესს.

– ქირურგმა კაზიმმა არანაირი ხელჩასაჭიდი ინფორმაცია არ მოგაწოდათ?

– ოფიციალურად არა. სიტყვიერად, რა თქმა უნდა, გვესაუბრა, რომ არაფერ შუაში არ არის ფარმან ჯეირანლი, რომ ყველაფერი კარგად ჩატარდა. როდესაც მე ვკითხე, რა შეიძლება ყოფილიყო გარდაცვალების მიზეზი, ისიც კი თქვა, რომ იმდენად მოულოდნელი იყო ეს ყველაფერი და იმდენად ყველაფერმა კარგად ჩაიარა, რომ მოარული ხმები დადის, არ უნდათ გარკვეულ წრეებს საქართველოში ტრანსპლანტოლოგიის ასეთი ცენტრი ჩამოყალიბდეს, მე ვერაფერს დავამტკიცებ, მაგრამ მაქვს ვარაუდი, რომ ეს პაციენტები შეგნებულად დაამძიმეს, რათა ეს შედეგი დამდგარიყოო.

– ანუ ამ ვარაუდს არც კაზიმი გამორიცხავს?

– არა, რადგან ის აცხადებს, რომ სამედიცინო მიზეზი პრაქტიკულად არ არსებობდა. მის პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამდენ ხანს ეცოცხლათ პაციენტებს, რეანიმაციიდან გამოსულიყვნენ და ერთიმეორის მიყოლებით ერთი კვირის შემდეგ გარდაცვლილიყვნენ. როგორც წესი, ასეთი ოპერაციები წარუმატებლად თუ ტარდება, იქვე, მაგიდაზე რჩება ადამიანი, როგორც, სამწუხაროდ, თენგიზ სიგუას შვილიშვილი, ან რამდენიმე საათში იღუპება.

– არსებობს შანსი, რომ დადგინდეს ამ პაციენტების გარდაცვალების რეალური მიზეზი?

– ამის იმედი ნაკლებად მაქვს. წელიწადზე მეტი დროა გასული და მეეჭვება, ვინმემ დაამტკიცოს, რითია გარდაცვლილი ადამიანი. პატარა ინფექციის შეჭრაც საკმარისია ასეთი რთული ოპერაციის შემდეგ, რომ ადამიანი გარდაიცვალოს. როცა ამდენი ხანია გასული და არანაირი ექსპერტიზა ამ მიმართულებით არ ყოფილა ჩატარებული, რა თქმა უნდა, რთულია ამის დადგენა. დღესაც აქტიურად საუბრობენ, რომ ეს იყო მიზანმიმართული პროცესი, რათა მომხდარიყო ამ სფეროს დისკრედიტაცია, თუმცა, სამწუხაროდ, ეს საუბრების და ვარაუდების დონეს ვერ გასცდება.

ეკა ბესელია ფოტორეპორტიორების საქმეზე დაიკითხება

დეპუტატი ეკა ბესელია ფოტორეპორტიორების საქმეზე დაიკითხება. სახელმწიფო ბრალდებას ბესელია მოწმედ დასაკითხ პირთა სიიდან არ ამოუღია, ვინაიდან გლდანის მერვე დაწესებულების ყოფილი დირექტორის, ალექსანდრე მუხაძის ადვოკატმა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება უდავო მტკიცებულებად არ გახადა.

პროკურორის თქმით, გიორგი აბდალაძის ყოფილ ადვოკატს ბრალდება, სავარაუდოდ, 11 ივლისს ჩანიშნულ პროცესზე დაკითხავს. ამასთან, სახელმწიფო ბრალდება კიდევ ორ მოწმეს დაკითხავს და ამით საკუთარი მტკიცებულებების გამოკვლევას დაასრულებს.

თავად ბრალდებული, კონტრდაზვერვის ყოფილი მაღალჩინოსანი დავით დევნოზაშვილი კი დაცვის მოწმის რანგში დაიკითხება.

ფოტორეპორტიორების საქმეზე ბრალი კონტრდაზვერვის ყოფილ მაღალჩინოსანს დავით დევნოზაშვილს და სასჯელაღსრულების ნომერ მერვე დაწესებულების ყოფილ დირექტორს ალექსანდრე მუხაძეს აქვთ წაყენებული.

გამოძიება მათ ჯაშუშობის ბრალის აღიარების მიზნით ფოტორეპორტიორებზე ზეწოლის განხორციელებას ედავება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ივანიშვილი კალაძეზე კომპრომატების გამოქვეყნებას აპირებს?

„არაა გამორიცხული, პოლიტიკურ სცენაზე ირაკლი ღარიბაშვილი გამოვიდეს“

შორენა მარსაგიშვილი

ლევან ხაბეიშვილი: „ყოფილი პრემიერი ამერიკელების ინიციატივის შემდეგ გაუჩინარდა“

რატომ გაუჩინარდა ივანიშვილი, რატომ დაეძაბა მას ურთიერთობა კალაძესთან, რამდენ ნაწილად გაიყო „ქართული ოცნება“, ვის შეყვანას აპირებს ხელისუფლება საკრებულოებში? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

ლევან ხაბეიშვილი:

– ქართულ პოლიტიკაში ბოლო დროს ბევრი რამე მოხდა, პოლიტიკაში კი დამთხვევები იშვიათია, ყველაფერი თავის ლოგიკურ ჩარჩოში ჯდება. ჩვენ ვიცით ამერიკის ინიციატივა, ვისაც რუსეთში 1 მილიონზე მეტი აქვს ნაშოვნი, მას შესაძლოა პრობლემები შეექმნას. ამ ინიციატივას დაემთხვა, რომ ბიძინა ივანიშვილი გაქრა პოლიტიკიდან.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ინიციატივის გამო გაუჩინარდა ივანიშვილი?

– ვფიქრობ კი არა, ეს ასეა. ყველა ხვდება, რომ 2020 წლის არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნება“ ამ კონფიგურაციით ვეღარ მოვა ხელისუფლებაში. სპრინტი დაწყებულია იმასთან დაკავშირებით, თუ ვის ხელში აღმოჩნდება ძალაუფლება.

ამას გარედან ვერავინ გადაწყვეტს და აქედან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტესტია პოლიტიკური პარტიებისთვის. ამ პროცესს სერიოზულად დააკავირდება დასავლეთი, შეხედავს პარტიებს და გააკეთებს დასკვნას, თუ ვინ შეიძლება მისი დასაყრდენი გახდეს. პროდასავლურ პარტიებს ვგულისხმობ და არა ბურჯანაძე-ინაშვილის პარტიებს, რომლებსაც მკვეთრად გამოხატული პრორუსული ორიენტაცია აქვს.

სერიოზული რყევებია „ქართულ ოცნებაში“. ეს გუნდი რამდენიმე კლანად არის დაყოფილი და ყველა კლანს ძალაუფლების გადაბარებაზე პრეტენზიები აქვს. თავისი დაჯგუფება ჰყავს ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ ის ასე ღიად ვეღარ ჩაერევა პოლიტიკურ პროცესებში.

ამერიკის ინიციატივა რუსეთში ნაშოვნ მილიონებთან დაკავშირებით მისთვის სერიოზული მესიჯი იყო. ამას დავუმატოთ ისიც, რომ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი დაუგეგმავად ჩამოდის საქართველოში.

– პენსის ვიზიტი ივანიშვილს უკავშირდება?

– ეს ვიზიტი დაემთხვა თვითმმართველობის არჩევნებს. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი დაუგეგმავად ჩამოდის, რაც ძალიან სერიოზული მესიჯია. ამ ვიზიტის შედეგი იქნება ის, რომ ყოფილი პრემიერი საარჩევნო კამპანიას ოფიციალურად გამოეთიშება. ბიძინა ივანიშვილი არ არის ის კაცი, რომელიც ის ასე იოლად დათმობს პოზიციებს. თან მან იცის, რომ „ქართული ოცნება“ დიდხანს ვეღარ დარჩება ხელისუფლებაში. ის შეეცდება, რომ მისი მოურავები სხვადასხვა ფორმით მოხვდნენ ხელისუფლებაში.

აქ მნიშვნელოვანია ერთი დეტალიც, ქართულ პოლიტიკაში კახა კალაძის სახით „ახალი“ მოთამაშე გამოჩნდა. მას თავისი პოლიტიკური მიზნები და ამოცანები აქვს. სხვა მეოცნებეებისგან განსხვავებით, ფინანსურად ივანიშვილზე დამოკიდებული არ არის. მას აქვს საერთაშორისო კონტაქტებიც, რაც თავის გადარჩენის საშუალებას აძლევს.

მისგან განსხვავებით, ეკა ბესელია და გია ვოლსკი თავს ვერ გადაირჩენენ. მათ პატრონი არ ჰყავთ. ამათნაირების მამამარჩენალი და არქიფო სეთური არის ყოფილი პრემიერი. ისინი იმას გააკეთებენ, რასაც ბიძინა ეტყვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სერიოზული პრობლემები შეექმნებათ.

– რა პრობლემები?

– მრავალნაირი. მათ შორის, სამართალთან დაკავშირებული პრობლემები. ბესელიას და მანანა კობახიძეს იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი, ნორმალური ხელისუფლების პირობებში ისინი ციხეში წავლენ. ამიტომაც ისინი მთლიანად მოიაზრებიან „ოცნების“ დამფუძნებლის გუნდში.

– კალაძე აღარ მოიაზრება ივანიშვილის გუნდში?

– თბილისის მერობის კანდიდატი კარგად ლავირებს და ისე წარმოაჩენს, რომ ყოფილი პრემიერის გავლენის ქვეშაა. ამ დროს ის ყველაფერს აკეთებს, რომ ამ გავლენებისგან გათავისუფლდეს. ამაზე მუშაობა უკვე დაწყებული აქვს. ჩემი ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში თბილისის საკრებულოს მოქმედი დეპუტატებიდან 3 კაცზე მეტი ვერ მოხვდება.

რა ხალხიც ჰყავს „ოცნებას“ საკრებულოში, კარგად ვიცით. ისინი მონურ მორჩილებაში იმყოფებიან ივანიშვილთან. ეს ის ხალხია, ვინც ყოფილ პრემიერს რამდენიმე საათში კოეფიციენტი შეუცვალა, ბოტანიკური ბაღი გაუფორმა. პანორამა თბილისზე აღარაფერს ვამბობ. ეს ყველაფერზე ხელის ამწევი ხალხია, რომელსაც არქიფო სეთურისთვის პრობლემა არ შეუქმნიათ. ისინი მას პრობლემებს არც მომავალში შეუქმნიდნენ, მაგრამ კალაძემ მათი ჩამოშორება გადაწყვიტა.

მან „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეების და აქტივისტების ჩაჩოჩება დაიწყო რეგიონებში. მან თქვა, რომ თავად დახარჯავს ფინანსებს, თავად დააკომპლექტებს საკრებულოებს, მაჟორიტარულ ოლქებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის გარკვეული ინიციატივის ხელში აღებას ცდილობს. მას სურს, რომ თბილისის მერია პოზიციების გასამყარებლად გამოიყენოს.

არსებული კანონმდებლობის თანახმად, საკრებულოს არჩეული მერისთვის იმპიჩმენტის მოწყობა შეუძლია. ამის შესახებ იცის კალაძემაც და იმასაც ხვდება, რომ თუ ისე არ მოიქცევა, შესაძლოა, ივანიშვილმა მერობიდან მოასრიალოს. ამიტომაც ცდილობს საკრებულოში თავისი ხალხის შეყვანას.

– კალაძის ჩანაფიქრს ივანიშვილი ვერ ხვდება?

– ივანიშვილი შტერი ნამდვილად არ არის, რომ ვერ გამოიცნოს, რა ჩანაფიქრი აქვს კალაძეს და რატომ წმენდს პოლიტიკურ გუნდს დედაქალაქში. პირველი მეოცნებე არაა ის კაცი, ამას რამე არ დაუპირისპიროს. დაიმახსოვრეთ, კალაძეს პრობლემები და დისკომფორტები შეექმნება. მათ შორის საარჩევნო პერიოდშიც.

მათი დაპირისპირება ჯერ ისევ კულუარულ დონეზე დარჩება. მისი საჯარო სივრცეში გამოტანა არც ერთს არ აწყობს. თბილისის მერად კალაძის დასახელება „ოცნებაში“ ბევრს არ მოსწონს.

მათ კარგად იციან, რომ ის ისეთი მერი არ იქნება, როგორიც ნარმანიაა. მას ასე იოლად ვერ დაურეკავენ, ვერაფერს მოსთხოვენ და არც მისი მართვა იქნება იოლი. ის თავისი კლანური მმართველობითა და ბიზნესინტერესებითაა ცნობილი. მისთვის არც ნეპოტიზმია უცხო.

ახლა მისი მთავარი ამოცანაა, დედაქალაქის პარტიული სტრუქტურა „ოცნების“ კადრებისგან გაწმინდოს და იქ თავისი ხალხი შეიყვანოს.

– მის ხალხში ძირითადად ფეხბურთელები უნდა ვიგულისხმოთ?

– პირველ რიგში ფეხბურთელები. მათ არც პოლიტიკური გამოცდილება აქვთ და არც პოლიტიკური გასაქანი. კალაძისთვის იდეალური კანდიდატები არიან ლევან კობიაშვილი, გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი. მიზნის მისაღწევად რომ ყველაფერს იკადრებს, ესეც ვიცით. ვისაც არ ახსოვს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებს გავახსენებ. იმისთვის, რომ კობიაშვილი გაეყვანა, ადამიანი დღისითმზისით მოიპარა.

ის ყველაფერზე წავა, მაგრამ არც „ოცნების“ სხვა დაჯგუფებები იქნებიან გულხელდაკრეფილი.

– რა დაჯგუფებები არის „ოცნებაში“.

– კალაძის დაჯგუფება უკვე ვახსენეთ. არის ჩუგოშვილის და ახალგაზრდების ფრთა, რომლებსაც თავისი ამოცანები აქვთ. ივანიშვილის გუნდში იქნებიან ძველი კომკავშირლები – ვოლსკი, ბესელია და ბიზნესმენები.

ეჭვი მაქვს, რომ ეს შიდა დაპირისპირება „ქართულ ოცნებას“ მთლიანად გადაიყოლებს. უკვე დიდი ხანია, ხალხი აღარ ახსოვთ, თავიანთ ბიზნესებზე და შიდა დაპირისპირებებზე არიან გადასულები. ვფიქრობ, ხალხი ამას ძალიან კარგად ხვდება.

არ უნდა დავივიწყოთ კახელების კლანი. ირაკლი ღარიბაშვილი ალბათ ისევ გამოვა პოლიტიკურ სცენაზე. არის კიდევ სუსის დაჯგუფება. ძალიან ბევრი დაჯგუფებაა „ოცნებაში“ და ჯერჯერობით ყველა ისევ ივანიშვილის მოურავია. განსხვავება მათ შორის მხოლოდ კატეგორიებია.

– რა კატეგორიები?

– ისინი იყოფიან პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე ხარისხის მონა-მოურავებად. პირველი კატეგორიის მონა-მოურავებში ბესელია-ვოლსკი-ძიძიგური შედიან. ამ კატეგორიის ხალხი ბიძინას ეთაყვანება.

ის პოლიტიკური სიბინძურე, რაც ახლა მმართველ გუნდშია, შემოდგომაზე ლოგიკურად დასრულდება. თვითმმართველობის არჩევნებზე ხალხისგან ისინი მწარე ალიყურს მიიღებენ.

– დარწმუნებული ხართ, რომ ალიყურს მიიღებენ?

– ძალიან მინდა, რომ ასე მოხდეს და შეიძლება ამიტომ მჯერა ამის. არ მიყვარს ამომრჩევლის გამტყუნება, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ პოლიტიკურ პროცესებზე მათაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა. სხვა თუ არაფერი, ხომ გაგიგია, რაც ერი, ის ბერიო. რა არჩევანიც გაკეთდა, ის ხელისუფლებაც მიიღეს. ეჭვი მაქვს, რომ ამ არჩევნებზე სერიოზული ალიყური მოხვდება „ოცნებას“.

– თუ არ მოხვდა?

– მაშინ აღარ უნდა იწუწუნონ. ახლაც თუ ლანგრით მიართმევენ თვითმმართველობებს, მაშინ უნდა შეეგუონ, რომ 4 წლის მანძილზე ისინი მათკენ არც კი გამოიხედავენ. და რომ არ მოიხედებიან, იქნებიან მართლები.

– მართლები რატომ იქნებიან?

– ამ 5 წლის მანძილზე რომ არ მოგხედე და კიდევ ხმა მომეცი, რატომ უნდა მოგხედო? გამოდის, რომ ასეთი მოგწონვარ. ალიყურის მოხვედრის შემთხვევაში შეფუცხუნდებიან და ხალხზე იფიქრებენ.

– მოდით, ისევ ივანიშვილისა და კალაძის დაპირისპირებას დავუბრუნდეთ. თქვენ თქვით, რომ საარჩევნო პერიოდში მთავარმა მეოცნებემ შესაძლოა მერობის კანდიდატს პრობლემები შეუქმნას. ახსენეთ ღარიბაშვილიც. არის იმის ალბათობა, რომ ღარიბაშვილი დააყენოს მერობის კანდიდატად?

– ივანიშვილი მერობის სხვა კანდიდატურას არ წამოაყენებს, მაგრამ ის შეეცდება, პოლიტიკურად დააზიანოს კალაძე. დღეს არსებული ვითარებით, ეს უკანასკნელიც ივანიშვილის მოურავია, ოღონდ კლასიფიკაციით მეოთხე. ეს მხოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ

მერობის კანდიდატს თავისი ფინანსები აქვს.

იმის გამო, რომ მათ შორის უნდობლობა გაჩნდა, კალაძემ ახალი პარტნიორების ძებნა დაიწყო. ის შიშობს, რომ შეიძლება შუა მერობიდან მოასრიალონ. ეს ყველაფერი სერიოზულ კითხვებს აჩენს და, დარწმუნებული ვარ, მათ შორის სერიოზული შუღლი გაღვივდება.

კალაძის ამბიციების გარდა, არის ივანიშვილის ხასიათი. ის ვერ იტანს, თუ ვინმე მისგან დამოუკიდებელია. არც ის მოსწონს, თუ ვინმე პოლიტიკურ დივიდენდებს მოიპოვებს. აქამდე ის თანამდებობებზე ისეთ ხალხს აყენებდა, ვისაც პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების შანსი არ ჰქონდა და ვერც დამოუკიდებელ თამაშს გაბედავდა.

კალაძეს საკუთარი გუნდის ჩამოყალიბების შესაძლებლობა აქვს, ნარმანიასგან ეს გამორიცხულია. ისევე, როგორც კვირიკაშვილისგან. ეს უკანასკნელი საერთოდ არაფრის მაქნისია. მტერი კარზე მოგვადგა, ეგ კი მთავრობის სხდომაზე გაიძახის, ქართველ კაცებს ბორდელებში არ უშვებენო. ამ პოსტზე მხოლოდ იმიტომ ზის, რომ კარგი ფორმა აქვს და, ღარიბაშვილისგან განსხვავებით, კარგად მეტყველებს. სხვა მათ შორის განსხვავება არ არის.

წინ დიდი ამბები გველოდება და არავინ იცის, მეოცნებეები ერთმანეთს როდის, სად და რა კომპრომატს აუფრიალებენ.

შსს-მ აჭარაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შსს-მ აჭარაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და ამავე დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე – 1992 წელს დაბადებული ო.ო. და 1985 წელს დაბადებული ჯ.ბ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ბათუმში დააკავეს.

როგორც უწყებაში აცხადებენ, სამართალდამცველებმა ო.ო.-ს პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალების 339 აბი ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 31,2113 გრამ „მდმა“-ს შეიცავს. ჯ.ბ-ს პირადი ჩხრეკისას კი ამოღებულია 1,06798 გრამი „მდმა“-ს შემცველი 9 აბი.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) მიმდინარეობს.

დავით ზურაბიშვილი: „ქართულ ოცნებაში“ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებია – ეს ივანიშვილის მართვის სტილია“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის წევრი, თბილისის საკრებულოს დეპუტატი **დავით ზურაბიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, საკონსტიტუციო პროცესი რამდენად არის ჩიხში შესული? ხელისუფლება ამბობს, რომ ორი მოსმენით კონსტიტუციის პროექტი მიღებული აქვს და ძირეულ ცვლილებებს არ აპირებს.

– ხელისუფლებამ ყველა პირობა დაარღვია, რაც კი დადო. ლაპარაკი იყო ერთზე და მიიღეს მეორე. კონსენსუსი, ან ნაწილობრივი კონსენსუსი, ეს მთლიანად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. ოპოზიციას, არასამთავრობო სექტორს, სამოქალაქო თუ საერთაშორისო საზოგადოებას, ყველას აქვს შენიშვნა, გარდა ხელისუფლებისა. არ მესმის, ამ შემთხვევაში რა აზრი აქვს საერთოდ ლაპარაკს.

– რამდენად არის პრობლემა მაჟორიტარული სისტემა? ხშირად არგუმენტად მოჰყავთ ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი, სადაც მთლიანად მაჟორიტარული არჩევნებია.

– კიდევ არის სხვა ქვეყნების მაგალითებიც. საერთოდ არ არსებობს ორი ერთნაირი ქვეყანა, რომელსაც ზუსტად ერთნაირი საარჩევნო სისტემა ჰქონდეს. ყველა ქვეყნის საარჩევნო სისტემა მისადაგებულია იმ ქვეყნის რეალობასთან, გნებავთ პოლიტიკურ ტრადიციასთან, პოლიტიკურ კულტურასთან, რომელშიც ესა თუ ის ქვეყანა იმყოფება. ამიტომ არ მგონია, ასეთი შედარებები სწორი იყოს.

რაც შეიძლება საზოგადოების მეტ ფენას, ინტერესთა ჯგუფს უნდა წარმოადგენდნენ პარლამენტში მოხვედრილი პოლიტიკური პარტიები, ადამიანები. ეს, როგორც წესი, მრავალპარტიული წარმომადგენლობით ხდება, გამონაკლისი ორპარტიული სისტემა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებშია. რაც შეეხება ამერიკას, მას ამ საარჩევნო სისტემის პოლიტიკური ტრადიცია აქვს და ამ ქვეყნის თავისებურებიდან გამომდინარეობს ორპარტიულობა. დანარჩენ სამყაროში კი მრავალპარტიული სისტემაა. იქაც კი, სადაც ორპარტიული სისტემა იყო, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, სხვა პოლიტიკური ძალებიც გამოჩნდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთშიც მაჟორიტარული სისტემაა.

რაც შეეხება საქართველოს, მაჟორიტარული სისტემა ჯობია, პროპორციული თუ შერეული მოდელი, ამაზე აბსტრაქტული მსჯელობა უაზროა. ის საარჩევნო სისტემაა საქართველოსთვის კარგი, რომელიც რაც შეიძლება მეტ წარმომადგენლობას უზრუნველყოფს პარლამენტში. იმ სისტემას უნდა ვუგულშემატკივროთ, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის არის კარგი.

– იქნებ ხელისუფლების ამოცანაც სწორედ ეს არის, რომ იყოს მხოლოდ ორპარტიული სისტემა. შეიძლება საარჩევნო ბლოკების გაუქმება აქეთკენ გადადგმული ნაბიჯია, ვინც გადარჩება და გაძლიერდება, ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს არჩევნებში.

– არა, ასე ნამდვილად არ არის, რადგან ხელისუფლების განზრახვა ღიად ჩანს.

– და რა არის ეს განზრახვა?

– დარჩეს ხელისუფლებაში რაც შეიძლება დიდხანს და რაც შეიძლება მეტი მანდატი მიიღოს ამომრჩევლის ცოტა ხმით, ეს არის და ეს.

საზოგადოებრივი ლეგიტიმურობის თვალსაზრისით, მთლიანად პროპორციული სისტემა არის საჭირო და რაც შეიძლება დაბალი საარჩევნო ბარიერი. ეს არის იმისთვის საჭირო, რომ მოსახლეობის ინტერესების ფართო სპექტრი იყოს პარლამენტში წარმოდგენილი და ამით თავიდან ავიცილოთ სერიოზული დაპირისპირებები, რაშიც 25 წელია ვიმყოფებით. მაჟორიტარები ჩვენს რეალობაში ყველა ხელისუფლებასთან საერთო ენას პოულობენ და კარგადაც გრძნობენ თავს, ამის კლასიკური მაგალითია კახა ოქრიაშვილი.

– საარჩევნო ბლოკებთან დაკავშირებით ხელისუფლების არგუმენტია, რომ ისინი პარტიების გაძლიერებაზე ზრუნავენ, რომ თითოკაციანი პარტიები წარსულს ჩაბარდეს.

– ხელისუფლება საერთოდ არ არის დაინტერესებული არანაირი პარტიების გაძლიერებით. ბლოკების აკრძალვა არ ნიშნავს პარტიების გაძლიერებას. სრულიად პირიქით არის. ცალ-ცალკე ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ერთიანობაში რომ შეხედავ, მაგალითად, მაღალი საარჩევნო ბარიერი, ბლოკების აკრძალვა, ამას დამატებული ბონუსი, ამით ხელისუფლება გვეუბნება: ამომრჩევლის ცოტა ხმას მივიღებ, მაგრამ მერე რა, მაინც მე ვიქნები. თან ერთჯერადად კი არა – სულ მე ვიქნები.

– ბატონო დავით, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, „ქართულ ოცნებაში“ მართლაც არის ორი ფრთა, ერთი, რომელსაც არ სურს ცვლილებები და მეორე, რომელიც დასავლეთზეა ორიენტირებული?

– სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები რომ არის, ეს ფაქტია. ერთი, რაც დანამდვილებით ვიცი, ყოველ შემთხვევაში აქამდე ასე იყო, ყველაფერს ბიძინა ივანიშვილი წყვეტდა. საბოლოო ჯამში კეთდებოდა ის, რაც მას უნდოდა. ეს იცოდა ყველამ. საერთოდ, ივანიშვილს თავის გუნდში ჰყავს განსხვავებული ჯგუფები, განსხვავებული მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის ადამიანები. მას ასეთი მიდგომა აქვს, ასეთია მისი შეხედულებები, ასეთი მართვის სტილი აქვს, მაგრამ გადაწყვეტილებას საბოლოო ჯამში იღებს თვითონ.

– განსხვავებული ჯგუფები რომ გამოვიდნენ და პროცესები ააყირავონ?

– მას მიაჩნია, რომ ეს არის სწორი მენეჯმენტი. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მაშინ გეტყვით, რომ ეს არ არის თანამედროვე პოლიტიკური, გნებავთ დემოკრატიული მართვის სტილი.

გიორგი მღებრიშვილი: „ჩვენ ხელოვნურად ვერ დავდგამთ აფგან მუხთარლის გატაცების სცენებს“

– ჩვენ ხელოვნურად ვერ დავდგამთ აფგან მუხთარლის გატაცების სცენებს, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა განაცხადა. როგორც მღებრიშვილმა „იმედის კვირისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, ამოღებული ჩანაწერები ყველა იმ ადგილიდან, რომელიც სამართალდამცველებს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის ადვოკატმა მიუთითა, გადაეცა აფგან მუხთარლის ადვოკატსაც, თუმცა მას „არ მოეწონა“, რადგან გატაცება არ ჩანს.

– აბსურდული და დაუჯერებელი ვერსიებიც კი მოვისმინეთ ამ საქმეზე. სენსიტიური საქმეა და სახელმწიფოებრივ მიდგომას საჭიროებს. ასობით საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა, ამოღებულია ჩანაწერები, გამოძიება ერთ ადგილზე არ დგას. ხდება ამ ჩანაწერების ანალიტიკური დამუშავება. მის ადვოკატსაც გადაეცა, მაგრამ მას არ მოეწონა, რამდენადაც იქ არ ჩანს გატაცების მომენტი. ჩვენ ხელოვნურად ვერ დავდგამთ გატაცების სცენებს და მისთვის სასურველ სცენარს. ობიექტურად რა მოცემულობაც გვაქვს, მივყვებით. მინდა ყველას მოვუწოდო, უნდათ თუ არ უნდათ, გამოძიების შედეგებს უნდა დაველოდოთ. ვითომ გულშემატკივრებს, ვითომ აღშფოთებულებს მინდა ვუთხრა, რომ გამოძიება აუცილებლად დასრულდება და დაიდება კონკრეტული დასკვნა, – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

მინისტრმა კიდევ ერთხელ გამორიცხა შს სამინისტროს და ყველა ძალოვანი უწყების ჩართულობა მუხთარლის შესაძლო გატაცებაში.

– არ მჯერა, რომ ვინმეს სჯერა, თითქოს შუა დღისით, თბილისის ცენტრში ფორმაში გამოწყობილი თანამშრომლები იტაცებენ ჯან-ღონით სავსე ადამიანს და დამნახავი არავინ არის, არ არსებობს მოწმე, არ არსებობს არც ერთი ვიდეოჩანაწერი, სადაც შეიძლება ჩანდეს ფორმაში ჩაცმული ადამიანების გადაადგილებაც კი, – განაცხადა შს მინისტრმა.

რაც შეეხება კითხვას, თუ რატომ არ მიდის შს მინისტრი პარლამენტში აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, მღებრიშვილის თქმით, ის ესაუბრება ადამიანებს, ვისაც ესმით არგუმენტები და ფაქტებს ითვალისწინებენ – ჰქონდა შეხვედრა უმრავლესობასთან, ხოლო ვისაც არ უნდა მოისმინოს არგუმენტები, ამ ადამიანებთან შეხვედრაზე დროს „ნამდვილად არ დაკარგავს“.

ჯვართან მოშარდვისთვის ზესტაფონში ირანის მოქალაქეს სცემეს

ზესტაფონში, თამარ მეფის ქუჩაზე, სწრაფი კვების ობიექტების მიმდებარე ტერიტორიაზე ირანის მოქალაქეს სცემეს.

თვითმხილველთა ინფორმაციით, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, კვების ობიექტის სიახლოვეს აღმართულ ჯვართან მოშარდა.

ინციდენტს ახალგაზრდები შეესწრნენ, რომლებმაც მოქალაქეს სცემეს და გარკვეული თანხა წაართვეს.

მოქალაქის ცემისთვის პოლიციამ 4 პირი დააკავა, თუმცა სამი არასრულწლოვანი მალევე გაათავისუფლა. მოქალაქე ბესო გელაშვილი კი მეოთხე დღეა პატიმრობაში იმყოფება.

„ნიუპოსტი“ შს სამინისტროს დაუკავშირდა. უწყების ცნობით, მომხდარზე გამოძიება ცემისა და ძარცვის მუხლით მიმდინარეობს.

ბაჩო სირაძე: „ჩემი დაკავება არ მომხდარა, მოხდა ჩემი გატაცება“

– ჩემი გატაცება ჩემი დაკავება არ მომხდარა, მოხდა ჩემი გატაცება, – ამის შესახებ ნარკოდანაშაულში ბრალდებულმა ბაჩო სირაძემ პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

მან დაკავების დეტალებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ნარკოტიკული საშუალება პოლიციამ ჩაუდო. სირაძის თქმით, მისი უდანაშაულობა მომდევნო სასამართლო სხდომებზე აუცილებლად დამტკიცდება.

– ყველაფერი გაყალბებულია ჩემს საქმეში. ნარკოტიკები ჩამიდეს. არც მინახავს ნარკოტიკული საშუალება, ისე წამიყვანეს და მესამე დღეს მითხრეს, რომ მქონდა ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინი, რასაც, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმებოდი. მე უდანაშაულო ვარ და ეს დამტკიცდება მომდევნო სასამართლო სხდომებზე. ჩემი დაკავება არ მომხდარა, ჩემი გატაცება მოხდა. 4 საათის განმავლობაში არც დარეკვის საშუალება მომცეს, არც ადვოკატებთან შეხვედრის უფლება. 4 საათის შემდეგ მიმიყვანეს განყოფილებაში, სადაც ადვოკატებმა მითხრეს რას მედავებოდნენ. მესამე დღეს კი გავიგეთ, რომ მედავებიან განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვას, რაც აბსურდია. მე სრულიად უდანაშაულო ვარ, – განაცხადა ბაჩო სირაძემ.

ნარკოდანაშაულში ბრალდებული ბაჩო სირაძე სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა. მოსამართლე მერაბ ჯორბენაძემ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და ბრალდებული 50 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. ბაჩო სირაძე ნარკოდანაშაულის ბრალდებით 21 მაისს დააკავეს. ის სამართალდამცველებს ნარკოტიკების ჩადებაში ადანაშაულებს.

ფოთის მერი: „ჩვენ გვინდა შუამდგომლობა გავუწიოთ დაზარალებულებს“

– ჩვენ გვინდა შუამდგომლობა გავუწიოთ დაზარალებულებს ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან. ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფოთის მერმა ირაკლი კაკულიამ განუცხადა. მისი თქმით, საბანკო სექტორის წარმომადგენლები მზად არიან მაქსიმალურად გაითვალისწინონ დაზარალებულთა ინტერესები.

– ჩვენ გვინდა შუამდგომლობა გავუწიოთ დაზარალებულებს ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან, იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რომ შეძლებისდაგვარად გადაუვადონ მათ სესხები. კომერციულმა ბანკებმა გამოთქვეს მზადყოფნა, მაქსიმალურად გაითვალისწინონ ეს სიძნელეები და გააკეთონ ის, რისი გაკეთებაც არის შესაძლებელი არსებულ პირობებში. სამწუხაროა, რომ არც ერთ მეპატრონს არ ჰქონდა დაზღვეული საკუთარი ბიზნესი. მოვუწოდებ დაზარალებულებს, მეპატრონეებს, შეინარჩუნონ სიმშვიდე. დაველოდოთ გამოძიების შედეგებს, – განაცხადა ირაკლი კაკულიამ.

ფოთის სავაჭრო ცენტრში ხანძარი გუშინ დილით გაჩნდა. ცეცხლი 2.000 კვადრატულ მეტრ ფართობზე გავრცელდა, სადაც 50-მდე მაღაზია და 144 დახლი იყო განთავსებული. ადგილზე 9 სახანძრო-სამაშველო ბრიგადა იყო მობილიზებული. ხანძრის გამომწვევ მიზეზს გამოძიება დაადგენს.

„ოხრახუშით, ქინძითა და ღვინით ვაჭრობას ეწირება საქართველოს ინტერესები“

მამუკა გვაძაბია: „მოჩვენებითი სიმშვიდე დამღუპველია“

გულიკო ბალაძე

დამოუკიდებელი ექსპერტი **მამუკა გვაძაბია** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ საქართველოს და რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციის თემა მსოფლიო პოლიტიკური დღის წესრიგიდან ქრება.

– ბატონო მამუკა, რატომ არის საგანგაშო გზავნილი ტრამპის განცხადება, რომელშიც რუსეთის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებს შორის საქართველო არ არის მოხსენიებული?

– როდესაც ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოს მეთაური ამას ამბობს, ეს არის ძალიან სერიოზული გზავნილი მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებისთვის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. პამბურგში „დიდი ოცეულის“ ფარგლებში პუტინისა და ტრამპის პირველი ოფიციალური შეხვედრა მოხდა, რომელიც ნახევარ საათს უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ორსაათნახევარი გაგრძელდა, შეხვედრაზე წამოწეული იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხი, მათ შორის უკრაინა, სირია და სხვა. საქართველოს სახელიც კი არ უხსენებიათ. უბრალოდ, იგულისხმებოდა „სხვებში“. ნახსენები იყო უკრაინისა და სხვების ოკუპაცია.

როდესაც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი საკითხს ასე უდგება, დამაფიქრებელია. თუმცა, სტრატეგიული პარტნიორი ჩვენ მაგივრად ვერ იტყვის, რომ საქართველოში უბედურება ხდება, ჩვენ უნდა ავტეხოთ ამაზე განგაში. ამას ხელისუფლება გეგმაზომიერად აკეთებს, პრობლემაზე წაყრუებას არჩევს.

– ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ უკრაინის ტერიტორიების ოკუპაცია უფრო გვიან მოხდა და დონბასში ბრძოლები კვლავ მიმდინარეობს, ხოლო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ან ადმინისტრაციულ საზღვართან, ქართველებსა და რუსებს შორის დღეს ბრძოლები არ არის?

– ეს არის ემოციური დამოკიდებულება. რა მნიშვნელობა აქვს, სროლა არის თუ არა. საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ შვიდჯერ თუ რვაჯერ გადმოიწია საოკუპაციო ხაზმა საქართველოს სიღრმეში. დღეს მთავარი არტერიიდან 500 მეტრში დგას ოკუპანტი. ამაზე მეტი საგანგაშო რა შეიძლება იყოს? ისვრიან თუ არა, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. სროლა რომ არ იყოს, სჯობს, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ეს მოჩვენებითი სიმშვიდე უფრო დამღუპველია, უფრო ცუდად მოქმედებს, მათ შორის, საერთაშორისო თვალსაზრისით საქართველოს საკითხზე.

– საქართველოს ბედზე.

– დიახ, მოჩვენებითი სიმშვიდე დამღუპველია. ამას ვამბობდი 2008 წლამდე, როცა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპანტ ძალას სამშვიდობო ძალის სტატუსი ჰქონდა და ახლაც ვამბობ, რომ რუსეთი ოკუპანტია. ამ კურსის შერბილება ძალიან საშიშია. დღევანდელი მოცემულობიდან გამომდინარე, სწორედ კურსის შერბილებასთან გვაქვს საქმე.

– კურსის შერბილება რას ნიშნავს?

– კურსის შერბილებაა, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები, საერთოდ, ოკუპანტის არსებობას არ აღიარებენ. ერთი მინისტრი გამოდის და ამბობს, რა მოხდა მერე, თუ ადმინისტრაციული საზღვარი რამდენიმე ასეული მეტრით გადმოიწია, მეორე მინისტრი გამოდის და იგივე საკითხს სვამს. ოკუპაცია თურმე 2008 წელს დამთავრებულა და მას შემდეგ თურმე არაფერი მომხდარა. 2008 წელს უბედურება მოხდა. მას შემდეგ უბედურებას უბედურება ემატება – საქართველო შაგრენის ტყავივით პატარავდება. ეს ყველას უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული.

– როდესაც 2008 წლის კატასტროფის შემდეგ (როდესაც დღეში 150 სოფელი დავკარგეთ), სააკაშვილმა თქვა, რომ არაფერი დაგვიკარგავს, მხოლოდ ქვა-ღორღი იყოო, ეს იყო საოცრად გამაოგნებელი განცხადება ქვეყნის პირველი პირის მხრიდან, რომელმაც ომი წააგო და ტერიტორიები დაკარგა. ახლა საოკუპაციო ხაზის გადმოწევაზე რომელმა მინისტრმა განაცხადა, არაფერი ხდებაო?

– დევნილთა მინისტრმა სუბარმა, ტელევიზიით რამდენჯერმე მოვისმინე, არაფერიც არ ხდება, რა მოხდა, საოკუპაციო ხაზმა რამდენიმე ასეული მეტრით გადმოწიაო.

– ერთი მეტრითაც რატომ უნდა გადმოიწიოს ან რატომ უნდა გაბედონ საოკუპაციო ხაზის ერთი მეტრითაც გადმოწევა?

– მაშინ, როდესაც პუტინის წარმომადგენლებს ტაშ-ფანდურით ხვდებიან თბილისში, მაშინ, როდესაც საქართველოს მიმართ ძალიან უარყოფითად განწყობილ პირებს შეხვედრებს უწყობენ, ამ ფონზე არაფერი მიკვირს.

პუტინის წარმომადგენელი შვიდკოი და მამონტოვი ოკუპირებულ ტერიტორიებზეც იმყოფებოდნენ. მათ ოკუპაციის შესახებ კანონი აქვთ დარღვეული, მაგრამ თითქოს არაფერი, თბილისში შეხვედრებს მართავენ. ამ ფონზე არ მიკვირს, ხელისუფლება ასეთ განცხადებებს რომ აკეთებს.

– ამაზე, მგონი, ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, მამონტოვი და შვიდკოი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობდნენო.

– ეს არასამთავრობოები ვინც არიან, გასაგებია.

– ვინ არიან?

– რომელი არასამთავრობო ორგანიზაციაც მოიწვევდა მამონტოვსა და შვიდკოის – რუსეთიდან დაფინანსებული, ე.წ. რბილი ძალის წარმომადგენლები. არ დავინტერესებულვარ, ვინ მოიწვია შვიდკოი. ვისაც არ უნდა მოეწვია, თავმოყვარე სახელმწიფოს ორივე უკან უნდა დაებრუნებინა. მამონტოვი არის ქართველთ მოძულე, აფხაზეთში ტაშ-ფანდურს მართავდა, ორჯერ იყო ჩასული. ასეთი პრეცედენტების დაშვება და ხელისუფლების განცხადებები ქმნის იმის ნიადაგს, რომ ოკუპაციის პრობლემა სახელმწიფოსთვის დღის წესრიგის პირველი საკითხი არ არის. დღის წესრიგის პირველი საკითხია ოხრახუშით, ქინძითა და ღვინით ვაჭრობა. ამას ეწირება ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები.

– ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, შს ორგანოებში თუ არის დაფიქსირებული, რომ მათ უკანონოდ გადმოკვეთეს ჩვენი სახელმწიფო საზღვარი და შევიდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე?

– შს ორგანოების წარმომადგენლებმა თავი იმით იმართლეს, 6 წლის წინ იმყოფებოდნენ და ხანდაზმულობის ვადა შეეხო და ამიტომ კანონი ოკუპაციის შესახებ მათ მიმართ არ მოქმედებსო. 6 წლის წინ კი არა, 2014 წელსაც იყო ჩამოსული. 2014 წლის შემდეგ 6 წელი არ გასულა. 2014 წელს რომ იყო ჩამოსული, ის არ ახსოვთ?

– თქვენ ნამდვილად იცით, რომ 2014 წელს შვიდკოი და მამონტოვი აფხაზეთში იმყოფებოდნენ?

– რა თქმა უნდა, მამონტოვის გვერდზე შევედი და ვნახე. „სოხუმი-2014-ის“ ფოტოკოლაჟი აქვს. მამონტოვი ამას არც მალავს, საქართველოში მომიწვიეს და მშვენივრად შემოვედიო, დაიტრაბახა. შვიდკოიმ ინტერვიუებში განაცხადა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარებას რუსეთი უკან არ წაიღებს და ამის იმედი არც გქონდეთო. თბილისში ჩამოდის და ამას ამბობს. ამ ფონზე საქართველო პატარავდება, საუბედუროდ. ამაზე პასუხისმგებლობა ყველა ხელისუფლებას ეკისრება.

– თქვენ გამოსავალს რაში ხედავთ?

– ამ პრობლემის მიმართ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც არაადეკვატურები არიან. სანამ არ იქნება აღიარებული, რატომ დაიწყო საომარი მოქმედებები აფხაზეთში 1992 წელს, თუ აფხაზეთში, სოხუმში არსებულ პროქართულ ოპოზიციურ ძალებს გაფურჩქვნის საშუალება არ მიეცა, ამ პრობლემას არაფერი ეშველება.

ამ თვალსაზრისით არაადეკვატური არიან ხელისუფლება, ოპოზიცია და ყველა. ისინი მხოლოდ იმისთვის მოქმედებენ და იმისთვის იღებენ გადაწყვეტილებებს, რომ მომავალი არჩევნებისთვის დევნილების მეტი ხმები მოიპოვონ. ეს არის ამათი სტრატეგიაც და პრაქტიკაც. უფრო მეტს, შორსმიმავალს მიზნებს ვერ ვხედავ. მათ ახლა ამ პრობლემის წინ წამოწევა არ აწყობთ, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თემაზე სერიოზული განცხადებები არამომგებიანი იქნება.

– რატომ არ უნდათ ამ თემაზე სერიოზული განცხადებების გაკეთება, რადგან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ამ ეტაპზე მიუღწეველია?

– მიაჩნიათ, რომ ამ ეტაპზე კი არა, შორეულ პერსპექტივაშიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია. სინამდვილეში ასე არ არის, თუ საქართველოს ხელისუფლება ადეკვატური იქნება. ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა დღეს ხელისუფლებას ეკისრება. ოპოზიციასაც ეკისრება თავისი წილი პასუხისმგებლობა.

პატრიოტთა ალიანსი მოსკოვში კალაშნიკოვთან წავიდა

არჩილ თალაკვაძე: „ეს არ არის საპარლამენტო მივლინება“

შორენა მარსაგიშვილი

ქართველი დეპუტატების დელეგაცია რუს დეპუტატებთან შესახვედრად მოსკოვში გაემგზავრა. დელეგაცია მთლიანად პატრიოტთა ალიანსის წევრებით არის დაკომპლექტებული. ალიანსელები ამბობენ, რომ მოსკოვში საქართველოს ინტერესების დასაცავად წავიდნენ.

ალიანსის წევრებს რუსებთან მოლაპარაკებების სურვილი რომ ჰქონდათ, ეს ადა მარშანიამ ჯერ კიდევ მაისის თვეში გააჟღერა. მან მაშინვე

განაცხადა, რომ ის მზად იყო, ნებისმიერ მომენტში წასულიყო რუსეთში მოლაპარაკებების გასამართად.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი იმედოვნებს, რომ პატრიოტთა ალიანსის დესანტი მოსკოვიდან შედეგებით დაბრუნდება. ის ფიქრობს, რომ ადა მარშანია, ნატო ჩხეიძე და გიორგი ლომია რუს კოლეგებთან რაღაცაზე მაინც მოილაპარაკებენ.

ინაშვილის განცხადებით, მისი თანაპარტიელები რუსეთში შეხვედრებს 11 ივლისს გამართავენ.

– არაფერია დასამალი იმაში, რომ ჩვენ ვართ ინიციატორი, დაიწყოს პოლიტიკური დიალოგი საქართველოს პარლამენტის წევრებს, ჩვენს ფრაქციასა და რუსეთის დუმის წევრებს შორის. ეს პოლიტიკური დიალოგი ბოლო წლების განმავლობაში არ შემდგარა.

ყველა ადამიანი, ვინც ამბობს, რომ აუცილებელია რაღაც აქციები, საოკუპაციო ზოლთან მისვლა, გვახსოვს რა პიარ აქციები იგეგმებოდა სააკაშვილის დროს, სწორედ ეს ადამიანები ეწინააღმდეგებიან ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას და არა ჩვენი ინიციატივა, რომელიც არის პოლიტიკური ინიციატივა, რათა რეალურად გადაწყდეს პრობლემები.

ჩვენ არ გვაქვს მოლოდინი, რომ ხვალვე გაერთიანდება საქართველო და ხვალვე დაგვიბრუნდება სოხუმი და ცხინვალი,

მაგრამ საუბრის და დიალოგის დაწყებას ალტერნატივა არ აქვს, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში ინაშვილი.

დეპუტატი ამბობს, რომ მისი კოლეგები დუმის დსთ-ს ევრაზიული ინტეგრაციის და თანამემამულეებთან კავშირების კომიტეტის თავმჯდომარე ლეონიდ კალაშნიკოგს დაელაპარაკებიან.

– ჩვენი ინტერესების სფერო არის ცხინვალი, სოხუმში დევნილების დაბრუნების საკითხი, ეს არის საზღვრის გადმოწევის პროცესის შეჩერება. ძალიან ბევრი თემაა, რასაც ჩვენ დავდებთ დღის წესრიგში და შემდეგ იქნება გადასარევი თუ რუსული მხარე იტყვის, რომ ეს შეხვედრები უნდა გაგრძელდეს.

დუმაში კალაშნიკოვია, კონკრეტული კომიტეტის თავმჯდომარეა, სწორედ კალაშნიკოვთან იქნება შეხვედრა ჩვენი ფრაქციის წევრების. მე არ ვიცი, რა გამოდნება ამ შეხვედრიდან, არავინ არ იცის, რა გამოვა, კარგი იქნება თუ დაფიქსირდება, რომ უნდა გაგრძელდეს დიალოგი, – განაცხადა ინაშვილმა.

მოსკოვური ვიზიტის მიმართ დიდი მოლოდინები აქვს ადა მარშანიას. რუსეთში გამგზავრებამდე მან აეროპორტში ტელეკომპანია „პირველს“ უთხრა, რომ საზოგადოება ყველაფერს 11 ივლისს გაიგებს.

მისივე თქმით, მოსკოვში ეს ვიზიტი უაღრესად მნიშვნელოვანია.

– საქმიანი ვიზიტი გვაქვს უაღრესად სერიოზული. ამის მეტს ვერაფერს ვერ გეტყვით. ვერ გეტყვით და არ გეტყვით, იმიტომ, რომ საქმის შინაარსიდან, მისი მაქსიმალურად კარგად დამთავრების თვალსაზრისით არ გეუბნებით ჯერჯერობით, ყველაფერს გაიგებთ 11 ივლისს, – განაცხადა ადა მარშანიამ.

* * *

პატრიოტების მოსკოვურ ვიზიტს თბილისში უკვე მოჰყვა უარყოფითი შეფასებები. „ქართული ოცნება“ ამ ვიზიტს ოფიციალურად გაემიჯნა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ არჩილ თალაკვაძის თქმით, ალიანსის წევრები მოსკოვში საპარლამენტო მივლინებით არ იმყოფებიან. მისივე თქმით, „ოცნებას“ ვიზიტთან დაკავშირებით ინფორმაცია არ ჰქონდა.

– ეს არ არის საპარლამენტო მივლინება და პატრიოტთა ალიანსიც არ არის ის პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ უთანხმებს თავის ვიზიტებს. რუსეთთან მი-

მართებაში ჩვენ ვაგრძელებთ პრაგმატულ საგარეო პოლიტიკას, რაც ნიშნავს, რომ პირველ რიგში ჩვენ გვჭირდება საქართველოში მშვიდობა, განვითარების შესაძლებლობა და არანაირ დათმობას ჩვენ არ ვაპირებთ ჩვენი ეროვნული ინტერესების ხარჯზე, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

საქართველოს მოქალაქეების მიერ ისრაელში თავშესაფრის მოთხოვნა თითქმის ნულამდეა შემცირებული

– საქართველოდან ისრაელში პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი ბოლო ერთი თვის მანძილზე მინიმუმამდეა შემცირებული, მაშინ, როდესაც წლის დასაწყისში ისრაელის საიმიგრაციო სამსახურში თვეში 400-450 განცხადება შედიოდა, – ამის შესახებ ისრაელში საქართველოს კონსულმა ალექსანდრე ჯიშკარიანმა განაცხადა.

მისივე განმარტებით, ამაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა ისრაელის მიერ 2017 წლის 27 თებერვალს საქართველოს უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეყვანამ და ასევე, 2017 წლის 17 აპრილიდან ამოქმედებულმა რეგულაციამ, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც ისრაელის მოსახლეობისა და იმიგრაციის სამსახურს მიმართავენ პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით, განხილულ იქნება დაჩქარებული წესით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეს უარს ეტყვიან განცხადების განხილვაზე, მის მიმართ დაუყოვნებლივ დაიწყება ისრაელის სახელმწიფოდან იძულებით გაძევების (დეპორტაციის) პროცედურები.

– ისრაელთან უვიზო მიმოსვლა 2014 წელს ამოქმედდა. რა თქმა უნდა, ბევრმა ადამიანმა ისარგებლა ამით კეთილსინდისიერად, მაგრამ წარმოიქმნა ასევე არალეგალური მიგრაციის კუთხით პრობლემები, რაც დაკავშირებული იყო არამიზნობრივ ვიზიტებთან, ასევე წარმოიქმნა ე.წ. პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებელთა პრობლემები. როდესაც მოქალაქეებს შეჰქონდათ განცხადება პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით, სანამ ეს განცხადება იხილებოდა, მათ ეძლეოდათ საბუთი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებლობა ჰქონდათ ლეგალურად დასაქმებულიყვნენ ამ ქვეყანაში. ეს შეიცვალა 27 თებერვალს, მას შემდეგ, რაც აღნიშნული განცხადებით მიმართვის რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა ისრაელის საიმიგრაციო სამსახურში. მას შემდეგ, რაც თავი იჩინა ამ პრობლემამ და ასევე, ცხადი იყო, რომ საქართველოდან პოლიტიკური დევნა არავის ემუქრებოდა, შესაბამისად, 27 თებერვალს მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, საქართველოს ე.წ. უსაფრთხო ქვეყნის სტატუსი მიანიჭეს. საქართველო გამოცხადდა უსაფრთხო ქვეყნად, სადაც მოქალაქეებს რაიმე ნიშნით არ დევნიან და მათ საფრთხე არ ემუქრებათ უკან დაბრუნების შემთხვევაში. ამ გადაწყვეტილებით მოქალაქეებს, ვინც პოლიტიკურ თავშესაფარს მოითხოვდა, ავტომატურად შეეზღუდათ კანონიერი დასაქმების უფლება, უფრო მეტიც, გაფრთხილება გაეგზავნა ყველა ორგანიზაციას და დაწესებულებას, რომ ისინი დაჯარიმდებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ დაასაქმებდნენ ასეთი დოკუმენტის მფლობელ პირს, – განაცხადა ალექსანდრე ჯიშკარიანმა.

მისივე თქმით, 27 თებერვლის შემდეგ ისრაელის საიმიგრაციო სამსახურში პოლიტიკური თავშესაფრის თაობაზე განცხადების შეტანამ აზრი დაკარგა და, შესაბამისად, ასეთი განცხადებებიც მკვეთრად შემცირდა.

– ეს პროცესი ინერციით გაგრძელდა რაღაც პერიოდი, მაგრამ მიმდინარე წლის მაისის თვეში თითქმის ნულამდე დავიდა ისრაელში პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნაზე განცხადება. არავინ არ მიდის და არ შეაქვს განცხადება პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით, მაშინ როდესაც, მაგალითად, წლის დასაწყისში 400-450 განცხადება შედიოდა თვეში. პრაქტიკულად ის თემა, რასაც ჰქვია თავშესაფრის მოთხოვნა და ამ საბუთით დასაქმება, ამოიწურა. ამაზე გარკვეულწილად 17 აპრილის გადაწყვეტილებამაც იმოქმედა. საყურადღებოა ისიც, რომ 17 აპრილის გადაწყვეტილება შეეხებოდა იმ მოქალაქეებს, ვინც 27 თებერვლის მერე შეიტანდნენ განცხადებას.

მაგრამ, ვისაც 27 თებერვლამდე აქვს პოლიტიკურ თავშესაფარზე განცხადება შეტანილი, მათი განხილვა გრძელდება ინდივიდუალურ რეჟიმში. არიან მოქალაქეები, ვისაც გაუგრძელეს რამდენიმე თვე, მაგრამ ასევე არიან, რომელთაც უთხრეს, რომ მათ უნდა დატოვონ ისრაელის ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჩაითვლებიან არალეგალებად და მოხდება მათი დაკავება, შემდეგ კი დეპორტაცია.

მოქალაქეთა ნაწილი ისრაელის საიმიგრაციო სამსახურის ამ მითითებას ითვალისწინებს, ნაწილი არ ითვალისწინებს და ვინც არ ითვალისწინებს, ისრაელის კანონმდებლობის მიხედვით ხდება მათი დაკავება და საქართველოში დეპორტაცია, – განმარტა ალექსანდრე ჯიშკარიანმა.

„განხილვაში კორპუსების ამხანაგობებიც უნდა ჩაერთონ“

მთავრობის ინიციატივას, რომელიც დეველოპერულ კომპანიებს ელექტროსატენების მონტაჟს დაავალდებულებს, დეველოპერული ბიზნესი იწონებს, თუმცა, აღიარებს, რომ ეს უძრავი ქონების ფასს გაზრდის. დეველოპერული კომპანია „რედკოს“ პროექტების მენეჯერი მალხაზ კუნელაური განმარტავს, რომ აღნიშნული ინიციატივა ჯერ მხოლოდ იდეს დონეზეა, თუმცა, მისი სისტემაში ჩაშვებამდე და ამ ფორმით ამოქმედებამდე კონსულტაციებია საჭირო.

კუნელაურის მტკიცებით, საბოლოო ჯამში ყველა პროექტი ამხანაგობისთვისაა გამიზნული. ამიტომ, საჭიროა, რომ განხილვაში დეველოპერებთან ერთად დასრულებული კორპუსების უკვე მოქმედი ამხანაგობების წარმომადგენლები იყვნენ ჩართულნი.

– მათი აზრის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, კერძოდ, რამდენად შესწევთ უნარი, ასეთი მაღალი ფასის და სპეციფიკაციის კორპუსი შეინახონ, – აცხადებს კუნელაური.

მისი განცხადებით, ყველა დამატებითი რეგულაცია და ახალი მოთხოვნა ქონებას აძვირებს. გამონაკლისი კი არც ეს რეგულაცია იქნება.

– ჩვენს ქვეყანაში უძრავი ქონების ფასი დაბალი არ არის. ეს გათვლილია საქართველოში მცხოვრებ ადამიანებზე, რათა მათ საცხოვრებელი პირობები გაიუმჯობესონ. დღეს ქვეყანაში არსებული საბინაო ფონდი ავარიულ მდგომარეობაშია და მას განახლება სჭირდება. რეალურად, მშენებლობებს ხარვეზები აქვს, თუმცა, ეს გამოსასწორებელია. მაგალითად, უხარისხო არქიტექტურა, დაუსრულებელი მშენებლობა. ეს კი არავითარ კავშირში არ არის დამატებითი სერვისების შემოტანასთან. კარგი იქნება თუ ეს პრობლემები აღმოიფხვრება. თუმცა, როდესაც ამ პრობლემებს კიდევ ვუმატებთ დამატებით ახალ კომპონენტებს, საბოლოოდ, ეს ყველაფერი კიდევ უფრო მეტად გაზრდის ფასს უძრავ ქონებაზე. ამის შესყიდვა კი მომხმარებლისთვის რთული იქნება. არ გამოვრიცხავ იმას, რომ შესაძლოა, მოთხოვნა გაჩნდეს უფრო მდიდარი სეგმენტისგან, უცხოელებისგან. თუმცა, ეს სეგმენტი საქართველოში მცირეა, – აცხადებს კუნელაური.

მისი შეფასებით, მთავრობის აღნიშნულ ინიციატივას დათვლა და გაანგარიშება სჭირდება. კუნელაურის განცხადებით, ის რომ ქალაქი ელექტრომობილებზე გადავიდეს და ამას მთავრობამ ხელი შეუწყოს, კარგია. თუმცა, აქ ყველა მხარის პოზიციაა გასათვალისწინებელი.

როგორც ცნობილია, დეველოპერებს, შესაძლოა, 5 ბინაზე ერთი ელექტროდამტენის დამონტაჟების ვალდებულება ჰქონდეთ, – ამის შესახებ თბილისის მერობის კანდიდატმა და ენერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა კახა კალაძემ 5-წლიანი მუშაობის ანგარიშის პრეზენტაციაზე განაცხადა.

მისი თქმით, ენერგეტიკის სამინისტრო ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად მუშაობს ახალ რეგულაციებზე, რომელიც გულისხმობს ახალი ბინების მშენებლობის დროს ელექტროავტომობილების დამტენების დამონტაჟებას.

– მნიშვნელოვანია თუ შევძლებთ და დიდი ალბათობით ეს გამოგვივა, რომ როდესაც ახალი საცხოვრებელი კორპუსები შენდება, 5 საცხოვრებელ ბინაზე მოდიოდეს ერთი ელექტრომობილის დამტენი სადგომებში. ელექტრომობილი არის ჩვენი მომავალი, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს მიმართულება განვავითაროთ. ადამიანებს გაცილებით ნაკლები ხარჯი უწევთ, რადგანაც მათ არ აქვთ ხარჯი ბენზინზე, გაზზე და ა.შ. – განაცხადა კალაძემ.

„ინტერ რაო“ საქართველოს მთავრობას უჩივის

სემეკ-მა „ხრამჰესი 1“ და „ხრამჰესი 2“-ის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების დადგენის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო. ამ საკითხზე კომისიაში მოსაზრებების წარმოდგენის ბოლო ვადა 31 ივლისი, გადაწყვეტილების მიღების ბოლო ვადა კი 19 ნოემბერია.

სწორედ „ხრამჰესების“ ტარიფები ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც რუსულმა „ინტერ რაომ“ საქართველოს წინააღმდეგ სტოკჰოლმის არბიტრაჟში დავა დაიწყო. საუბარია ლარის გაუფასურებით მიყენებული დანაკლისის კომპენსირებაზე. „ინტერ რაო“ არსებული ინფორმაციით, მთავრობისგან 125 მილიონ დოლარს ითხოვს. „ხრამჰესების“ გარდა, საუბარია „თელასის“ ტარიფებზეც.

ამ ეტაპზე უცნობია, მოახდენს თუ არა გავლენას სემეკ-ის გადაწყვეტილება მთავრობისა და „ინტერ რაოს“ სასამართლო დავაზე. ამ პროცესებს შორის კავშირს არ ადასტურებენ „ხრამჰესში“. „ინტერ რაოს“ ინფორმაციით კი, ივნისში შეტანილი სარჩელის შემდეგ, დამატებითი მოლაპარაკებები არ გამართულა.

ნენსკრაჰესიდან ელექტროენერგიას 36 წლის განმავლობაში სახელმწიფო შეიძენს

ნენსკრაჰესის კრედიტორთა საბოლოო ჯგუფი 2017 წლის მესამე კვარტალში დასახელდება.

კომპანიის მიერ მომზადებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ პოტენციურ დამფინანსებელთა შორისაა ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპულ საინვესტიციო ბანკი და კორეის განვითარების ბანკი.

„ნენსკრა ჰიდროს“ ცნობით, დამფინანსებლების ეს ჯგუფი შეიძლება შეიცვალოს 2017 წლის მესამე კვარტლამდე, სანამ დაიხურება პროექტის დაფინანსების ვადა.

პროექტის ღირებულება დაახლოებით, $1 მილიარდია, საიდანაც 70% მოზიდული იქნება სწორედ ამ ბანკებიდან, შეღავათიანი კრედიტის სახით, დანარჩენი თანხა კი დაფინანსებულია ჯ-წატერ-ის მიერ და 10% არის საპარტნიორო ფონდის შენატანი.

ნენსკრაჰესის დადგმული სიმძლავრე 280 მვტ-ია. დაგეგმილია 130 მ სიმაღლის და 870 მ სიგრძის კაშხლის მოწყობა მდინარე ნენსკრის ზედა დინებაში, რაც შექმნის დაახლოებით 176 მილიონი კუბ.მ. მოცულობის წყალსაცავს. ჰესის საექსპლუატაციო ხარჯი წელიწადში 11 მლნ დოლარით არის განსაზღვრული.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიას ესკოსთან 36 წლიანი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული.

„საბანკო სექტორის წარმატება იმაში მდგომარეობს, რომ 90-იანი წლების შემდგომ სახელმწიფო ამ სფეროში არ ჩარეულა“

– ბედნიერები ვართ, იმით, რომ ქართული საბანკო სექტორი სრულიად კერძოა, – განაცხადა გადაცემაში „ანალიტიკა“ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა მურთაზ კიკორიამ. მისი თქმით, საბანკო სექტორის წარმატება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ 90-იანი წლების შემდგომ სახელმწიფო სფეროში არ ჩარეულა და საბანკო სექტორი საკუთარ სტრატეგიებს და საჭიროებებს თავად განკარგავს.

– ინვესტიციები მიდის იქ, სადაც არის ყველაზე გამჭვირვალე გარემო, თამაშის წესები არის ცნობილი და კორპორატიული მართვა ღიაა. იმ სტანდარტების დანერგვა, რასაც ჩვენ ვაპირებთ, ხელს შეუწყობს როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო სექტორში ინვესტიციების მოზიდვას.

მიკროსაფინანსო სექტორს აქვს პოტენციალი, რომ მეტი ინვესტიცია მოიზიდოს და გახდეს უფრო მსხვილი მოთამაშე ბაზარზე. 85 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გვაქვს დღეს და ძალიან ბევრ შემთხვევაში, სამწუხაროდ, მათ კაპიტალი არ გააჩნიათ, სწორედ ამიტომ არის მაღალი პროცენტები და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით ცუდი მდგომარეობა, – ამბობს კიკორია.

ფოთის აგრარული ბაზრის დირექტორი: „სავაჭრო ცენტრი დაზღვეული არ იყო“

ფოთის აგრარული ბაზრის დირექტორის თეა ბელქანიას ინფორმაციით, არც ერთ მოვაჭრეს საკუთარი ბიზნესი დაზღვეული არ ჰქონდა.

მისივე თქმით, „აღნიშნული სავაჭრო ცენტრი „ვითიბი ბანკის“ საკუთრებაში იყო და მხოლოდ ოთხი დღეა, რაც ბაზრის ადმინისტრაციამ დაიკანონა“, თუმცა ჯერჯერობით მათაც არ ჰქონდათ დაზღვეული.

ამ ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრში სულ 50-მდე მაღაზია და 144 დახლი იყო განთავსებული. ზარალის ოდენობა ჯერჯერობით უცნობია.

„პიჯაკების საქმეზე დაცვის მხარე საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობს“

პროკურორის მტკიცებით, პიჯაკების საქმეზე დაცვის მხარე საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობს. როგორც საქმის პროკურორმა გიორგი მუჯირმა განაცხადა, დღეს დაკითხულმა მოწმეებმა დაადასტურეს, რომ პრეზიდენტისთვის ხარჯები როგორც ოფიციალურად, ისე არაოფიციალურად იწეოდა. მისივე თქმით, დაცვის მხარე ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს 2008 წლის ომის შემდეგ პრეზიდენტის დაცვის ღონისძიებები გამკაცრდა და აქედან გამომდინარე გაიწეოდა ფარული ხარჯები სდსს-ს მიერ.

– მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ოფიციალური ხარჯების გადახდა ხდებოდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ღია ფორმით და მხოლოდ არაოფიციალური ხარჯების გაწევა ხდებოდა სდსს-ს მიერ ფარული ხარჯებით, რათა საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარიყო, რომ პრეზიდენტის პირადი მიზნებისთვის ბიუჯეტიდან თანხები იხარჯებოდა, – განაცხადა პროკურორმა.

***

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსის თემურ ჯანაშიას ადვოკატი პროკურატურას ჯანაშიას გამამართლებელი მტკიცებულების დამალვაში ადანაშაულებს. როგორც ადვოკატმა ბექა ბასილაიამ განაცხადა, მან დღეს იშუამდგომლა იმ ხარჯების გამოთხოვა, რომელიც სდსს-მ თემურ ჯანაშიას წასვლის შემდეგ გასწია.

ადვოკატის თქმით, ამ ხარჯებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია სახელმწიფო ბრალდებას ცალკე წარმოებად გამოყოფილ საქმეში აქვს ჩადებული და აქედან გამომდინარე, სასამართლო გამოძიების დასკვნას ელოდება. ბასილაიას თქმით, საუბარია იმ დოკუმენტებზე, რომ-

ლის მიხედვითაც ბიძინა ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ, ანზორ ჩუბინიძის ხელმძღვანელობისას ზუსტად ანალოგიური ხარჯები გაიწეოდა, რასაც გასწევდა თემურ ჯანაშია მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში.

– ბრალდების მხარე მაქსიმალურად მალავს იმ მტკიცებულებებს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის და თეიმურაზ ჯანაშიას უდანაშაულობას ადასტურებს. მათი უდანაშაულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოქცეული აქვთ გამოყოფილ საქმეში და იძახიან, რომ ვაწარმოებთ გამოძიებას. სასამართლომ თქვა, რადგან გამოძიება მიმდინარეობს, უნდა დაველოდოთ გამოძიების შედეგებს. ამ ლოგიკით ნებისმიერი პირის გამამართლებელი მტკიცებულება შესაძლებელია პროკურატურამ ჩადოს გამოყოფილ საქმეში და ასი წლის მანძილზე მზე ვერ ნახოს ამ დოკუმენტებმა. ამ ვითარებაში ცალსახაა, რომ სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ თეიმურაზ ჯანაშია არ გამართლდეს და მის მიმართ შერჩევითად, პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლებრივი დევნა ბოლომდე მივიდეს, – განაცხადა ბექა ბასილაიამ.

ავარია თელავში — დაშავებულია ოთხი ახალგაზრდა

თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბანში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ოთხი ახალგაზრდა დაშავდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

„მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმეზე ლტოლვილთა სამინისტროს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და პოლიტიკურად მოტივირებულია“

– მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმეზე ლტოლვილთა სამინისტროს გადაწყვეტილება უკანონო, დაუსაბუთებელი და პოლიტიკურად მოტივირებულია, – ამის შესახებ 9 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი.

გავრცელებული განცხადებით, ხელმომწერი ორგანიზაციები ეხმაურებიან მუსტაფა ემრე ჩაბუქისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში სამინისტროს) უარს და აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება აშკარად დაუსაბუთებელი, თვითნებური და თურქეთის არადემოკრატიული რეჟიმის მიმართ ხელისუფლების პოლიტიკური ლოიალობის უპრინციპო გამოხატულებაა. განცხადებას „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

– 2017 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებას სამინისტრო გიულენის მოძრაობის წევრების მიმართ დევნის კანონიერებითა და ლეგიტიმურობით, სამხედრო გადატრიალების შემდეგ დაკავებული პირების ნაწილის გათავისუფლების, თურქეთის ციხეებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლებაზე წვდომის, ასევე თურქეთში მუსტაფა ემრე ჩაბუქის უფლებების დაცვის შესახებ თურქეთისგან მიღებული დიპლომატიური გარანტიების არგუმენტებით ასაბუთებს.

ე. ჩაბუქის საქმეზე სამინისტროს აღნიშნული გადაწყვეტილება აშკარად დაუსაბუთებელია და არ არის გამყარებული ინდივიდუალური საქმის სათანადო შემოწმების შედეგებით, ობიექტური მტკიცებულებებითა და წარმოშობით ქვეყანაში არსებული უფლებრივი და პოლიტიკური კონტექსტის რეალისტური შეფასებით. მათ შორის, ტექსტში არ არის მითითებული და გაბათილებული საერთაშორისო ორგანიზაციების უკიდურესად კრიტიკული ანგარიშები თურქეთში არსებულ მძიმე უფლებრივ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

სამინისტროს მიერ გადაწყვეტილებაში გამოყენებული ძირითადი არგუმენტი ემყარება სადავო მტკიცებას, რომ გიულენის ორგანიზაცია თურქეთში ტერორისტულ ორგანიზაციადაა მიჩნეული და ამ ორგანიზაციის წევრების ქმედებების მიმართ სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლებრივი დევნა ლეგიტიმურია. აღნიშნულის მტკიცებისას სამინისტრო სრულად უგულებელყოფს გიულენის მოძრაობასთან დაკავშირებული პირების სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების მასობრივი და ბლანკეტური დარღვევის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს, რომელიც აღნიშნულ პროცესს კანონიერ ბუნებას არსებითად უცვლის და პოლიტიკურ შინაარსს სძენს.

წამების პრაქტიკა თურქეთში შეაფასა და დაგმო ევროპულმა კომისიამ, გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტმა, წამებაზე გაეროს მომხსენებელმა, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისარმა. მათ შორის, ევროპარლამენტის უახლესი, 2017 წლის 6 ივლისის რეზოლუცია მიუთითებს თურქეთის სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე; მათი გამოძიებისა და ადგილობრივი და საერთაშორისო მონიტორინგის, ასევე სამართლიანი სასამართლო უფლების გარანტიების არარსებობის პრობლემაზე. ვენეციის კომისია კრიტიკულად აფასებს (2016) თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებს, რომელიც მუსტაფა ჩაბუქის საქმეზეა გამოყენებული და მიუთითებს, რომ ის არ აკმაყოფილებს განჭვრეტადობის მოთხოვნებს და თვითნებური დევნის მაღალ რისკს შეიცავს. ამ მოცემულობაში აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდგომ ორგანიზაცია FETO-ს 59 წევრის ექსტრადიციის შესახებ თურქეთის მოწოდების მიუხედავად, ევროპის ქვეყნებს დღემდე არც ერთი პირი არ გადაუციათ.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ სამინისტროს შეფასებები, თურქეთში სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიების არსებობისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების, არასათანადო მოპყრობის არარსებობის შესახებ, აბსურდული და უსაფუძვლოა.

მეტიც, იმის მიუხედავად, რომ მ. ჩაბუქისთვის წარდგენილი ბრალდება სრულად საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ სავარაუდო დანაშაულს შეეხება, რაც საქმეს საქართველოს იურისდიქციაში აქცევს და სახელმწიფოს მის გადაცემაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძველს ანიჭებს, სამინისტრო წარდგენილი ბრალდების დასაბუთებულობაზე არც კი მსჯელობს.

სამინისტროს გადაწყვეტილებაში მითითებული ინფორმაცია, თითქოს საქართველომ მუსტაფა ჩაბუქის საქმეზე მიიღო დიპლომატიური გარანტიები მისი უფლებების დაცვის შესახებ, აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ საქართველოს ხელისუფლება მომავალში გეგმავს თურქეთში მის ექსტრადიციას, რაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უკიდურესი დარღვევა და სრული უგულებელყოფა იქნება.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელმომწერი ორგანიზაციები ვგმობთ სამინისტროს მიერ მიღებულ აშკარად დაუსაბუთებელ, უკანონო გადაწყვეტილებას; მოვუწოდებთ უწყებას, მისი საქმიანობა ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს და არ დაუშვას მსგავს საქმეებზე პროცესების პოლიტიზირება და კანონიერი ჩარჩოდან გაყვანა;

მოვუწოდებთ საერთო სასამართლოებს, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ საქმე ადამიანის უფლებების სტანდარტების ჯეროვანი გამოყენებითა და დაცვით განიხილონ და ეფექტიანად უზრუნველყონ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის შემოწმებისა და კონტროლის კონსტიტუციური ფუნქციის შესრულება;

მოვუწოდებთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მთავრობას, არ დაუშვას მუსტაფა ჩაბუქის ექსტრადიცია თურქეთში, რადგან ეს გადაწყვეტილება არსებითად დაარღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და რადიკალურად დააყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს;

მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, გაიაზროს მუსტაფა ჩაბუქის საქმის პოლიტიკური და სოციალური კონტექსტები და საქმეზე ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლი უზრუნველყოს, – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მედიის განვითარების ფონდი, გაეროს ასოციაცია საქართველოში; ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, კონსტიტუციის 42-ე მუხლი.

კახა კახიშვილი დეზინფორმაციის გავრცელების გამო გიორგი ბაჯელიძეს უჩივის

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი ორგანიზაცია „შეაჩერე კორუფციის“ დამფუძნებელს გიორგი ბაჯელიძეს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს, – ამის შესახებ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომელზეც ის ორგანიზაცია „შეაჩერე კორუფციის“ დამფუძნებლის გიორგი ბაჯელიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომელიც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გამართულ ტენდერებს ეხებოდა.

როგორც კახა კახიშვილმა აღნიშნა, ის განმარტებას, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებისთვის აკეთებს.

– საუბარი იყო იმაზე, რომ 3 კომპანიას გამარტივებული წესით გავუფორმეთ ხელშეკრულება. ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროს პრიორიტეტია პატიმრების დასაქმება, ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ბიზნეს წახალისებები კეთდება იმისთვის, რომ ბიზნესმა გახსნას და საწარმოებში დაასაქმოს პატიმრები, – განაცხადა კახიშვილმა და ამის მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ქვეყნები დაასახელა.

მისივე თქმით, ეს არის ევროკავშირის რეკომენდაციები სასჯელაღსრულების უწყებისთვის, რათა მოხდეს ბიზნესის ინტერესების დაცვა, რომ რაც შეიძლება მეტი საწარმო გაიხსნას სამინისტროში და პატიმრები დასაქმდნენ.

– ზუსტად ამ მიზნით გამოცხადდა ღია კონკურსები და არა დახურული, როგორც ამ განცხადების ზოგზოგიერთი ავტორი იყო მიჩვეული თავის დროზე, როდესაც მუშაობდა შესყიდვებში და კონვერტებით უგზავნიდა წინადადებებს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე იყო წინადადებები გამოქვეყნებული კონკურსებთან დაკავშირებით. ყველა ის კომპანია, რომელიც შემოვიდა, იხდის გადასახადებს ჩვენს დაწესებულებებში მიწით სარგებლობისთვის, ვალდებულებებში აქვს ინვესტიციების ჩადება, მაგალითად, ერთ-ერთ კომპანიას ჩადებული აქვს 300 000 ლარი და ასევე პატიმრების დასაქმება, – განაცხადა კახიშვილმა.

მინისტრის განმარტებით, საუბარი იყო ასევე იმაზე, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროში კვებას კომპანია „ნილი“ უზრუნველყოფს, რომელსაც „ქართულ ოცნებაში“ 120.000 ლარი აქვს გადარიცხული, რასაც კახი კახიშვილმა სრული დეზინფორმაცია უწოდა.

– კომპანია „ნილს“ ერთი დღეც არ ჰქონია სასჯელაღსრულების სამინისტროში კვების ტენდერთან შეხება. კომპანია „ნილი“ 30 დეკემბერს ტენდერში მონაწილეობდა, მაგრამ მან ტენდერი წააგო და ამის შემდეგ აღნიშნულ კომპანიასთან სამინისტროს არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია, – განაცხადა კახიშვილმა.

მისივე თქმით, კიდევ ერთი საკითხი ეხებოდა ორგანიზაციას „ქალი და ბიზნესი“, თითქოს აღნიშნული ორგანიზაცია დაახლოებულია სამინისტროსთან და უწყება მისგან ბალიშებსა და ლეიბებს გამარტივებული წესით ყიდულობს.

– აღნიშნულმა ორგანიზაციამ ევროკავშირის გრანტით შეიძინა სპეციალური ხელსაწყოები და ქალთა დაწესებულებაში შექმნეს სამკერვალო ფაბრიკა, სადაც ქალბატონებს კერვა ასწავლეს და ისინი ევროკავშირის გრანტით ფინანსდებოდნენ. მას შემდეგ, როდესაც გრანტის ვადა გავიდა, ეს საწარმო ადგილზე დარჩა, ბუნებრივია, მათ გამოთქვეს სურვილი, რომ მონაწილეობა მიეღოთ ციხის ტენდერებში. სამინისტროს გვაქვს მთავრობისგან ნებართვა, რომ პირდაპირი წესით შევისყიდოთ ციხეში დამზადებული პროდუქცია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ფასი საბითუმოს არ აღემატება, თუმცა, ასევე იყო შემთხვევები, როცა ჩვენ მათგან ვერ შევისყიდეთ პროდუქცია, ვინაიდან მათი ფასი იყო უფრო მაღალი, – განაცხადა კახიშვილმა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის განცხადებით, დეზინფორმაციის გავრცელების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანა იგეგმება.

– მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელება და საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანა აუცილებლად დასრულდება გიორგი ბაჯელიძის სასამართლოში გამოცხადებით. ჩვენ ვგეგმავთ, რომ სარჩელი შევიტანოთ მისი და მისი ორგანიზაციის წინააღმდეგ. ვინაიდან გაკეთდა განცხადება კორუფციულ სქემებთან დაკავშირებით, მივმართავ პროკურატურას, რომ დაიწყოს გამოძიება ამ ფაქტზე, გამოიძახონ ბატონი ბაჯელიძე მოწმის სახით, გააფრთხილონ ცრუ დასმენაზე პასუხისმგებლობის შესახებ და თუ მისი განცხადებები არ დასრულდება ბრალის დადასტურებით, მაშინ მას მოუწევს ბრალის აღიარება. სხვათა შორის, სანქცია არის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა და იმედს ვიტოვებ, რომ ზოგიერთი ამის შემდეგ გამოსწორდება, – განაცხადა კახიშვილმა.

აბადი: „მოსული ჩვენ გავათავისუფლეთ“

ერაყის არმიამ მოსულზე სრული კონტროლი დაამყარა. ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები გაანადგურეს, ან ტყვედ ჩაიგდეს. ისინი სამხედრო-საველე სასამართლოს წინაშე წარდგებიან. გაქცევა მხოლოდ ექსტრემისტების მცირე ნაწილმა შეძლო.

ისლამისტებისგან გათავისუფლებულ ქალაქში ერაყის პრემიერ-მინისტრი აბადი ჩავიდა. მან ერაყის არმიის მეომრებს მადლობა გადაუხადა.

– ტერორისტებზე გამარჯვება როგორც ჩვენი ჯარისკაცების სიმამაცით, აგრეთვე ამერიკელთა დახმარებით მოვიპოვეთ! ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ისლამური სახელმწიფო განადგურებულია! – თქვა აბადიმ.

ერაყის პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ ვლადიმერ პუტინს, ისევე, როგორც მის სირიელ სატელიტ ასადს, მოსულის გათავისუფლება თავად სურდათ, მაგრამ ამაოდ.

– არც პუტინი და არც ასადი ექსტრემისტებზე უკეთესები არ არიან! მოსული ჩვენ უნდა გაგვეთავისუფლებინა! ასეც მოხდა, – ამბობს აბადი.

საპროტესტო აქცია სტამბოლში

სტამბოლის ცენტრში სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ საპროტესტო აქცია მოაწყო. მასში მონაწილეობა 5.000-მა ადამიანმა მიიღო.

აქციის ორგანიზატორებმა ერდოღანს ხელისუფლების უზურპაციაში დასდეს ბრალი და დემოკრატიის აღდგენა მოითხოვეს.

თავად ერდოღანი აცხადებს, რომ სახალხო-დემოკრატიული პარტიის მოქმედება კანონის ჩარჩოებს სცილდება. ერდოღანმა ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნის დესტაბილიზაციას არ დაუშვებს.

– ყველა, ვინც კანონს არღვევს, დაისჯება, – აცხადებს ერდოღანი.

რუსული მარშების ორგანიზატორმა რუსეთი დატოვა

რუსული მარშების ორგანიზატორმა იური გორსკიმ რუსეთი დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ გორსკი ექსტრემიზმის ბრალდებით შინაპატიმრობაში იმყოფებოდა, მან სახლიდან შეუმჩნევლად გამოსვლა შეძლო და საზღვარზე გადავიდა. ამჟამად ის ლიტვის ტერიტორიაზე იმყოფება.

– პუტინის რეჟიმი ანტიხალხურია. ამიტომ ჩვენ, რუს პატრიოტებს, გვდევნიან, – განაცხადა გორსკიმ.

როგორც ყველა ექსტრემისტი, გორსკიც თავისებური აზროვნებით გამოირჩევა. მან განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინი საერთაშორისო მასონების აგენტია.

– იანუკოვიჩის დამხობისთანავე აუცილებელი იყო უკრაინის ოკუპაცია და კანონიერი პრეზიდენტის აღდგენა. ეს არ გაკეთდა. ამის ნაცვლად რაღაც გაურკვეველი პროექტების განხორციელება დაიწყო, – ამბობს გორსკი.

რუსი ფაშისტი მიიჩნევს, რომ ყირიმის ანექსიითა და დონბასში ჰიბრიდული ომის გაჩაღებით პუტინმა საერთაშორისო მასონების დაკვეთა შეასრულა.

– რუსები და უკრაინელები ერთი ხალხია. პუტინის პოლიტიკამ კი ჩვენ შორის გაუვალი უფსკრული წარმოშვა. უკრაინაში გაძლიერდნენ ბანდერელები, შეიქმნა ბრძოლისუნარიანი არმია და, რაც მთავარია, დაინერგა სიძულვილი ველიკორუსების მიმართ. პუტინის წყალობით, მოძმე ხალხებს შორის ისეთი მტრობა ჩამოვარდა, რომ ის საუკუნეებს გაჰყვება, – აცხადებს გორსკი.

რექს ტილერსონი კიევში ჩავიდა

„ამერიკა მინსკის სამშვიდობო პროცესით იმედგაცრუებულია“

დიდი ოცეულის სამიტის დასრულებისთანავე აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ტილერსონი კიევში ჩავიდა. მისი ვიზიტი მართლაც დროული იყო. უკრაინის გენერალური შტაბის ხელმძღვანელის, გენერალ მუჟენკოს ცნობით, რუსეთ-უკრაინის საზღვარზე სამმა რუსულმა დივიზიამ მოიყარა თავი.

– რუსები შეტევისთვის ემზადებიან, – თქვა მუჟენკომ.

ტილერსონის კიევში ჩასვლით ხაზი გაესვა იმას, რომ რუსეთის აგრესია დაუსჯელი არ დარჩება.

– ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინას, მის კანონიერად არჩეულ მთავრობას, დემოკრატიულ რეფორმებს, რომლებიც ამ ქვეყანაში ტარდება, – განაცხადა ტილერსონმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ტრამპის ადმინისტრაცია რუსეთთან ურთიერთობების აღდგენით დაინტერესებულია, მაგრამ ეს უკრაინის ხარჯზე არ მოხდება.

– დონბასის ომი რუსეთმა გააჩაღა. დეესკალაციისთვის პირველი ნაბიჯიც რუსეთმა უნდა გადადგას! რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები მანამ არ გაუქმდება, სანამ ყირიმი უკრაინას არ დაუბრუნდება და რუსული არმია დონბასს არ დატოვებს, – ამბობს ტილერსონი.

ამერიკელმა სტუმარმა პოროშენკოს კურტ ვილკერი წარუდგინა. ის ნორმანდიულ ფორმატში აშშ-ის წარმომადგენელი იქნება. ვილკერი გამოცდილი დიპლომატია. ის რუსეთის მიმართ მაქსიმალურად ხისტი პოზიციის დაკავების მომხრეა.

– ვილკერზე არჩევანი შემთხვევით როდი შევაჩერეთ! აშშ მინსკის სამშვიდობო პროცესით იმედგაცრუებულია! დონბასში არ შეინიშნება არავითარი პროგრესი. მეტიც, უკანასკნელ ხანს მდგომარეობა გამწვავდა, – განუცხადა ჟურნალისტებს ტილერსონმა.

პოროშენკომ ამერიკელ სტუმარს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. უკრაინის პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ნორმანდიულ ფორმატზე ამერიკის წარმომადგენელი სწორედ კურტ ვილკერი იქნება.

– კურტს კარგად ვიცნობთ. ის მაღალი რანგის პროფესიონალია და უკრაინულ პრობლემებშიც ერკვევა, – თქვა პოროშენკომ.

უკრაინის დედაქალაქს გაეროს გენერალური მდივანი გუტიერეშიც ესტუმრა. პოროშენკოსთან საუბარში მან განაცხადა, რომ გაერო მზადაა, უკრაინასთან უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს.

– გაერო ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რომ ყირიმი უკრაინას დაუბრუნდეს, რუსულმა არმიამ კი დონბასი დატოვოს, – თქვა გუტიერეშმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნისა და გაეროს გენერალური მდივნის კიევში ვიზიტი დამადასტურებელია იმისა, რომ უკრაინისადმი საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა იზრდება. ეს მინსკში ჩატარებულმა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომამაც დაადასტურა. მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის თანახმადაც, რუსეთი მოვალეა, დატოვოს დონბასის ოკუპირებული ნაწილი, ყირიმი კი უკრაინას დაუბრუნოს. რუსულმა დელეგაციამ ამის წინააღმდეგ მისცა ხმა, მაგრამ აბსოლუტურ უმცირესობაში აღმოჩნდა.

რუსეთს მხარი თვით ბელარუსმაც კი არ დაუჭირა, თუმცა ამ ქვეყანაში მოსკოვის გავლენა ძლიერია.

„ვაშინგტონ პოსტი“: რუსმა ჰაკერებმა აშშ-ის ენერგოსისტემას შეუტიეს

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, ჰაკერებმა აშშ-ის ენერგოსისტემისა და ატომური ელექტროსადგურების საიტები გატეხეს. გაზეთი ამტკიცებს, რომ ამ პროვოკაციის უკან მოსკოვი დგას.

– ჰაკერთა ჯგუფი, რომელმაც ხსენებული შეტევა განახორციელა, რუსეთის მთავრობაზე მუშაობს, – წერს „ვაშინგტონ პოსტი“.

გაზეთის ცნობით, აღნიშნული შეტევა სადაზვერვო ხასიათს ატარებდა და უახლოეს ხანებში რუსების ახალი ოინებია მოსალოდნელი.

მოსკოვში ნავალნის მომხრეები დააკავეს

მოსკოვში პოლიციამ ნავალნის მომხრეები დააკავა. ისინი გამვლელებს ნავალნის მხარდამჭერ და დონბასის ომის საწინააღმდეგო პლაკატებს ურიგებდნენ.

დაკავებულია 50 კაცი. უკანასკნელი მონაცემებით, დონბასში უკვე 25.000-ზე მეტი რუსი ჯარისკაცია დაღუპული. არანაკლებ სავალალოა მათი ბედი, ვინც შინ დასახიჩრებული დაბრუნდა.

უკრაინასთან ომი არ არის ოფიციალურად გამოცხადებული. ამიტომ დონბასში მებრძოლ ჯარისკაცებს არც პენსია ეკუთვნით, არც სხვა რაიმე შეღავათი. განსხვავებული ვითარებაა სირიასთან დაკავშირებით. იქიდან დაბრუნებული რუსი ოფიცრები თუ ჯარისკაცები სხვადასხვა პრივილეგიებით სარგებლობენ.

რუსეთში დონბასის ომი სულ უფრო არაპოპულარული ხდება. ლევადა ცენტრის ცნობით, რუსეთის მოქალაქეთა 54% დონბასში მშვიდობის აღდგენის მომხრეა. მოსკოვში, პეტერბურგში, როსტოვში თუ სხვაგან საპროტესტო აქციებიც გაიმართა. ამან ხელისუფლება შეაშფოთა. ნავალნის მომხრეთა დაკავებაც ამისი შედეგია.

კადიროვი: „მე არავინ დამიხვრეტია“

ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების მეთაურმა რამზან კადიროვმა „ნოვაია გაზეტას“ ბრალდებები უარყო. როგორც ცნობილია, „ნოვაია გაზეტამ“ გამოაქვეყნა იმ ადამიანების სია, რომლებიც კადიროვის ჯალათებმა 26 იანვარს დახვრიტეს.

– მოკლულია 27 ადამიანი, – წერდა „ნოვაია გაზეტა“.

კადიროვმა ამას სიცრუე უწოდა, შემკვეთად კი რუსი ლიბერალები და მათი „ამერიკელი პატრონები“ დაასახელა.

– ამერიკელებისა კარგად მესმის. მათ რუსეთის კავკასიიდან გაძევება სურთ. მაგრამ ზოგიერთი რუსი მათ რატომ ემსახურება? ნუთუ ვერ ხედავენ, რომ ჩეჩნეთი რუსეთის შემადგენლობაში მხოლოდ ჩემი წყალობით დარჩა?! – ამბობს კადიროვი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

კალეიდოსკოპი

ყველაზე ლამაზდუნდულებიანი ჩინელი მის მიმართ ინტერესის ზრდამ შეაწუხა

ქვეყნის ყველაზე ლამაზი დუნდულების მფლობელის კონკურსის გამარჯვებული ჩინელი გოგონა ქუჩაში სხეულზე მჭიდროდ მორგებული ტანსაცმლით ვერ გამოდის, ვინაიდან ხალხი მის ფიგურას მეტისმეტად დიდ ყურადღებას უთმობს.

გაო ციანმა ეროვნულ კონკურსში გაიმარჯვა, რომელიც ბრაზილიური კონკურსის მის ბუმბუმის ანალოგს წარმოადგენს. როგორც ერთ-ერთ ადგილობრივ გამოცემას 19 წლის გოგონამ განუცხადა, ის ვეღარ იცვამს სხეულზე მჭიდროდ მომდგარ შარვლებს.

– ხალხი გარს მეხვევა და თითით ჩემ უკანალზე ანიშნებს, – დაიჩივლა გოგონამ.

მან ასევე გაიხსენა, რომ ერთხელ ორმა გამვლელმა მისი დუნდულების გამოც კი იჩხუბა. გაო ციანის უკან მიმავალმა ახალგაზრდამ მისი ფიგურა შეაქო, რითიც თავისი მეგობარი გოგონას უკმაყოფილება გამოიწვია.

ახლა კონკურსის გამარჯვებულს ფართო შარვლების ჩაცმა უწევს. გაოს თქმით, ის თავის სილამაზის იდეალად კიმ კარდაშიანს თვლის. მისი აზრით, ამერიკელ ტელევარსკვლავს იდეალური პროპორციები აქვს. აღსანიშნავია, რომ 19 წლის ჩინელის სიმაღლე 170 სანტიმეტრია, ხოლო წონა 60 კილოგრამს აღწევს. ის ფიტნეს-ინსტრუქტორად მუშაობს და საკუთარი ვარჯიშების ვიდეობლოგი მიჰყავს.

ძაღლმა 320 კილომეტრი გაიარა პატრონთან დასაბრუნებლად

ამერიკის ფლორიდის შტატში დაკარგულმა ძაღლმა ხუთ თვეში 320 კილომეტრზე მეტი მანძილი გაიარა. ამ ინფორმაციას სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე აქვეყნებს ქალაქ პემბროკ-პაინსის ადგილობრივი პოლიციის დეპარტამენტი.

გავრცელებული ინფორმაციით, ექვსი წლის პომერანული შპიცი სახელად სესი თავისი პატრონების სახლიდან დაიკარგა, რომელიც ქალაქ ბრადენტონში მდებარეობს. პატრონებმა საყვარელი შინაური ცხოველი ვერ იპოვეს. პემბროკ-პაინსის პოლიციელებმა ძაღლი დაკარგვიდან ხუთი თვის შემდეგ გზაზე აღმოაჩინეს. ცხოველს რაიმე სახის დაზიანება არ მიუღია.

სესი მის პატრონებს მას შემდეგ დაუბრუნეს, როდესაც მასში ჩანერგილი მიკროჩიპი გაშიფრეს და მისი პატრონების მისამართი დაადგინეს.

საფრანგეთში წყალსატევიდან 600 კილოგრამი თევზი მოიპარეს

საფრანგეთის აღმოსავლეთ ნაწილში კომუნა სოპ-ლე-ბა-ში უცნობმა ბოროტმოქმედებმა 600 კილოგრამი ცოცხალი თევზი მოიპარეს.

ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის ინფორმაციით, ინციდენტი ივნისის ბოლოს მოხდა, მაგრამ პრესისთვის ცნობილი მხოლოდ ახლახან გახდა. ჟანდარმები, რომლებიც მომხდარს იძიებენ, ვარაუდობენ, რომ ბოროტმოქმედებმა თევზები დიდი ბადის დახმარებით დაიჭირეს. მათი აზრით, ასეთი რაოდენობის თევზის წყლიდან ამოსაყვანად, მათ საკმაოდ დიდი დრო დასჭირდებოდათ.

აღსანიშნავია, რომ რეგიონი განთქმულია შემწვარი თევზით. ხუთი წლის წინ 30-მდე ადგილობრივი კაფეების და რესტორნების მფლობელებმა სპეციალური მარშრუტი შეიმუშავეს, რომელიც ტურისტების მოზიდვას ემსახურება.

პიცაზე უარის მთქმელმა ავსტრალიელმა 40 კილოგრამი დაიკლო

ავსტრალიის ქალაქ სიდნეის მცხოვრებმა წონაში 36 კილოგრამის დაკლება მას შემდეგ მოახერხა, როდესაც პიცასა და სხვა ცხიმიან საჭმელებზე თქვა უარი.

რებეკა ლი ყოველდღე ერთ დიდ პიცას მიირთმევდა. ქალის თქმით, ყველაზე მეტად სწორედ ამ საჭმელზე უარის თქმა გაუჭირდა. როდესაც ექიმებმა მას აცნობეს, რომ ზედმეტ წონას შესაძლოა მისი დედობისთვის ხელი შეეშალა, მან გადაწყვიტა, საკუთარი სხეული შეეცვალა.

ამჟამად 30 წლის ლი 40 ზომის ტანსაცმელს იცვამს. მან საკუთარი რაციონიდან გამორიცხა ფასტფუდი და ჯანსაღ კვებაზე გადავიდა.

– ძალიან მეამაყება ის, რასაც მივაღწიე, ახლა შეყვარებულის ძიებაში ვარ, – განაცხადა გოგონამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოჭიდავეთა უხვი მედლები

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში საერთაშორისო გრან პრი შედგა, სადაც ქართულმა დელეგაციამ 10 მედლის მოპოვება მოახერხა.

„ციოლკოვსკისა და პეტლიასინსკის სახელობის ღია პირველობაზე“ საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებებმა თითქმის ოპტიმალური შემადგენლობებით მიიღეს მონაწილეობა.

თავისუფალთა ანგარიშზე 2 ოქროსა და 5 ბრინჯაოს მედალია. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (61 კგ) და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ზურაბ იაკობიშვილი (70 კგ) ავიდნენ. ბექა ლომთაძემ (61 კგ), ავთანდილ კენჭაძემ (74 კგ), დავით ხუციშვილმა (86 კგ), ელიზბარ ოდიკაძემ (97 კგ) და გიორგი მეშვილდიშვილმა (125 კგ) კი მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა პოლონურ ტურნირზე 3 მედალი მოიპოვა. მძიმეწონოსანი ლევან არაბული (130 კგ) ჩემპიონი გახდა. შმაგი ბოლქვაძე (71 კგ) და რობერტ კობლიაშვილი (85 კგ) კი ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

ჭიდაობაში მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონატამდე თვენახევარზე ნაკლები რჩება. სეზონის უმთავრეს შეჯიბრებას 21-26 აგვისტოს პარიზი უმასპინძლებს.

ევროპაზე სამტრედია დაგვრჩა

დღეს უეფას ჩემპიონთა ლიგაზე პირველ მატჩს გამართავს საქართველოს ჩემპიონი სამტრედია. შარშანდელის მსგავსად, იმერლები ისევ აზერბაიჯანელებთან მატჩით დაიწყებენ ევროტურნირებს. გეხსომებათ, გასულ წელს, მხოლოდ მაშინ ევროპა ლიგის პირველ საკვალიფიკაციოზე გაბალასთან ითამაშა (1:5, 2:1), ხოლო ამჯერად მეტოქე აგდამის ყარაბახი იქნება.

წელს ტურნირიც უფრო პრესტიჟულია და მეტოქეც გაცილებით ძლიერი. ყარაბახი ზედიზედ მეოთხედ გახდა აზერბაიჯანის ჩემპიონი და ასევე, ზედიზედ მესამედ მოიპოვა ქვეყნის თასიც.

აზერბაიჯანის საუკეთესო კლუბმა 10-ქულიანი ჰანდიკაპით მოიგო ჩემპიონატი. გუნდს 2008 წლიდან წვრთნის გურბან გურბანოვი და შედეგიც აქვს – ბოლო სამი სეზონია, ყარაბახი ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გადის. მართალია, სამივეჯერ ჯგუფში ჩარჩა, მაგრამ უიმედო აუტსაიდერი არასოდეს ყოფილა.

ყარაბახს სულ ცოტა აკლდება ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფამდე: მუდმივად გადიან მესამე საკვალიფიკაციოზე, იქ კი დაძაბულ ბრძოლაში აგებენ, გადადიან ევროპა ლიგაზე და ერთი ეტაპის გავლის შემდეგ ხვდებიან ჯგუფში. მაგალითად, შარშან ჩემპიონთა ლიგაზე ჩეხურ პლზენთან პენალტების სერიაში წააგეს, შარშანწინ სელტიკთან არ გაუმართლათ, იქამდე კიდევ ზალცბურგთან...

19 წლამდე ნახევარფინალისტები დაწყვილდნენ

უეფას 19-წლამდე ჩემპიონატზე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩები გაიმართა. თბილისის დავით პეტრიაშვილის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს ინგლისისა და გერმანიის 19-წლამდე ნაკრები გუნდები დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ინგლისელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათი დამაჯერებელი გამარჯვებით 4:1 დასრულდა. გამარჯვებულთა მხრიდან დუბლით ბრერეტონი და სესენიონი გამოირჩნენ. გერმანელთა მხრიდან კი, ერთადერთი გოლის ავტორი ვარშევსკი გახდა. ამ გამარჯვებით ინგლისმა 9 ქულა დააგროვა და ბ ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა.

ტურის მეორე შეხვედრას გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონმა უმასპინძლა. ჰოლანდიისა და ბულგარეთის 19-წლამდე ნაკრებთა დაპირისპირება ორმხრივი შეტევებით წარიმართა და ფრედ 1:1 დასრულდა.

ანგარიში 50-ე წუთზე ჰოლანდიელებმა გახსნეს, როდნი კონგოლომ მეკარეს ახლო კუთხეში გაუტანა. ბულგარელებმა წონასწორობის აღდგენა და საბოლოო ანგარიშის დაფიქსირება მალევე მოახერხეს. 55-ე წუთზე გეორგი რუსევმა თავური დარტყმით შეაგდო. სამ შეხვედრაში მოპოვებული ოთხი ქულით ჰოლანდია ბ ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა. ბულგარეთმა კი ევროპირველობაზე პირველი ქულა მოიპოვა და გათამაშებას გამოეთიშა.

ევრო 2017-ზე ნახევარფინალური ეტაპის მატჩები 12 ივლისს გაიმართება. ინგლისი ჩეხეთს დაუპირისპირდება, ჰოლანდია კი – პორტუგალიას. ევროპის 2017 წლის ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა 15 ივლისს შედგება.

იუვენტუსი ბაიერნს კოსტას იჯარაზე შეუთანხმდა

იტალიური მედიის ცნობით, მიუნხენის ბაიერნმა და ტურინის იუვენტუსმა დუგლას კოსტას ტრანსფერის თაობაზე გარიგება დაასრულეს. როგორც ირკვევა, იუვენტუსი ბრაზილიელ ვინგერს 8 მილიონი ევროს სანაცვლოდ იჯარით დაიმატებს, აუცილებელი გამოსყიდვის ვალდებულებით, ხოლო დანარჩენ 30 მილიონს იჯარის დასრულების შემდგომ გადაიხდის.

დუგლას კოსტას შეეძლება იტალიურ კლუბში სეზონში 6 მილიონი ევრო გამოიმუშაოს – ზუსტად ამ თანხაზე შეთანხმდნენ ფეხბურთელისა და ბებერი ქალბატონის წარმომადგენლები. ტრანსფერი უახლეს დღეებში უნდა დასრულდეს, რათა კოშტამ ახალ გუნდთან ერთად შეძლოს წინასასეზონო მომზადება გაიაროს ამერიკის ტურნეში.

კარლო ანჩელოტი: „წლევანდელი ლიგა ყველაზე კონკურენტუნარიანი იქნება“

იტალიელი სპეციალისტი კარლო ანჩელოტი, რომელიც სადღეისოდ გერმანული ბაიერნის თავკაცია, 2017-18 წლის ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მოლოდინებზე საუბრობს.

კარლო ანჩელოტი:

– ვოცნებობ, რომ ჩემპიონთა ლიგა მე-4-ედ მოვიგო. ამჯერად ეს ტურნირი სხვადასხვა მიზეზების გამო კიდევ უფრო რთული იქნება, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ინგლისის დიდი კლუბები ტურნირზე ბრუნდებიან – ჩელსი, მანჩესტერ იუნაიტედი, ბარსელონასა და ბაიერნს ყოფილ დონეზე დაბრუნება სურთ. იუვენტუსს ბოლოსდაბოლოს ამდენი გაშვებული ფინალის შემდეგ ამ ტიტულის დაუფლება უნდა, ხოლო, რეალი მოისურვებს ჩემპიონთა ლიგის მე-3-ედ ზედიზედ მოგებას. ყველა ამ ჩამოთვლილი გუნდისა და ამბიციური პსჟ-ს ამოცანა – მინიმუმ ნახევარფინალში გასვლაა. ყველა მათგანს სურს, საუკეთესო ოთხეულში მოხვდეს. ასეთი კონკურენცია ჩემპიონთა ლიგაზე ჯერ არასოდეს არ ყოფილა.

2012-13 წლის ტრიუმფალური სეზონის შემდეგ, სადაც ბაიერნმა ჩემპიონთა ლიგის, ბუნდესლიგისა და პოკალის თასები მოიგო, მომდევნო სეზონებში ჩემპიონთა ლიგის ტურნირზე ნახევარფინალში ზედიზედ 3-ჯერ გავიდა, სამჯერვე ესპანელი სპეციალისტის პეპ გვარდიოლას მეთაურობით. 2016-17 სეზონზე კი მიუნხენური გუნდი კარლო ანჩელოტის თაოსნობით მადრიდის რეალთან მეოთხედფინალურ მატჩში ტურნირს გამოეთიშა.

შედეგები

9 ივლისი

ფეხბურთი

მეედეთი. აღსვენსკა

ნორჩიოპინგი-ელფსბორგი 1:3
კალმარი-აიკი 0:1
ესტერსუნდი-იონჩოპინგი 1:1

ნოხვეგია. ეიტსეჰია

ვიკინგი-სონგდალი 1:1
სტრომგოდსეტი-კრისტიანსუნი ... 4:2
სტაბეკი-ბრანი 2:0

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

რა არის რეტეინერები

ეკა ირემაშვილი

თანკბილვის და სხვა ორთოდონტიული პრობლემების მოგვარება დიდ მოთმინებას ითხოვს. ბრეკეტების ხანგრძლივი ტარების შემდეგ, მიღებული შედეგის შესანარჩუნებლად აუცილებელია მკურნალობის გაგრძელება რეტეინერებით.

რა არის ბრეკეტების შემდგომი რეტეინერი, რამდენ ხანს უნდა ვატაროთ და რა სახის რეტეინერები არსებობს, ამ თემაზე ნინო ბერიძის ორთოდონტიული ცენტრის ექიმი-ორთოდონტი თამარ გაბელაშვილი საუბრობს.

თამარ გაბელაშვილი:

– რეტეინერი – სპეციალური კონსტრუქციაა, რომლის საშუალებითაც ბრეკეტების მოხსნის შემდეგ ხდება კბილების მდებარეობის შენარჩუნება.

ორთოდონტიული მკურნალობის დროს ხდება კბილების გადაადგილება საჭირო მიმართულებით, ამ პროცესს ახლავს ძვლოვანი ქსოვილის, სისხლძარღვთა სისტემის და იოგების ცვლილებები. როგორც კი იხსნება ბრეკეტ სისტემა, ზეწოლა კბილთა რკალზე ქრება, ამან კი შესაძლოა გამოიწვიოს კბილების დაბრუნება არასწორ პოზიციაზე. ამის თავიდან ასაცილებლად ექიმი ბრეკეტების მოხსნის შემდეგ აფიქსირებს რეტეინერს, რომელიც თავის მხრივ არ ამოძრავებს კბილებს და მხოლოდ აფიქსირებს სწორ პოზიციაში.

– რამდენად აუცილებელია მათი ტარება?

– ბევრ პაციენტს საერთოდ ეჭვი ეპარება მათ აუცილებლობაში და უჩნდებათ კითხვა, იქნებ საერთოდაც არ გაიკეთონ რეტეინერი. რეტენციული პერიოდის თავიდან აცილება შეუძლებელია. თუკი ბრეკეტების მოხსნის შემდეგ არ ატარებთ რეტეინერს, ეს დამთავრდება ბრეკეტების თავიდან გაკეთების აუცილებლობით.

საქმე ისაა, რომ კბილთა რკალი ასე მარტივად არ ნებდება და გარკვეულწილად ცდილობს „წინააღმდეგების“ გაწევას. კბილების სწორ პოზიციაში დასაფიქსირებლად საჭიროა ბევრი დრო და დიდი შრომა, ხოლო პროცესის დასრულება რეტეინერების გარეშე შეუძლებელია.

როგორც წესი, რეტეინერების ტარება პაციენტებს დიდ დისკომფორტს არ უქმნის. ადამიანი მალე ეჩვევა ორთონტიულ კონსტრუქციას, ის ხომ მიეჩვია ბრეკეტ-სისტემას. მოუხსნელი რეტეინერი გაცილებით პატარაა ზომაში და ამასთან ემაგრება კბილებს შიგნიდან.

– რა სახის რეტეინერები არსებობს?

– რეტეინერები ყენდება ბრეკეტების მოხსნის, კბილების პოლირების, წმენდის და მინანქრის რემთერაპიის შემდეგ. რეტეინერები არის ორი სახის: მოსახსნელი და მოუხსნელი. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, პირველი შეუძლია გაიკეთოს და მოიხსნას პაციენტმა, ხოლო მეორეს აფიქსირებს ექიმი და დამოუკიდებლად მისი მოხსნა შეუძლებელია.

ბრეკეტების მოხსნის შემდეგ კბილებზე მოუხსნელი რეტეინერები უფრო ხშირად ყენდება. ერთი შეხედვით ეს გახლავთ მავთული, დამზადებული სამედიცინო ლითონისგან, რომელიც ფიქსირდება კბილების შიდა ზედაპირებზე. იგი პრაქტიკულად უხილავია, მაგრამ საჭიროებს კარგ ჰიგიენას.

მოსახსნელი რეტეინერი არის პლასტიკური კაპა, რომელიც პაციენტმა უნდა ატაროს დღეში რამდენიმე საათი. როგორც წესი, კონსტრუქცია მზადდება ინდივიდუალურად პაციენტისთვის.

მოსახსნელი რეტეინერები არ საჭიროებენ ფიქსაციის სპეციალურ პროცედურებს – პაციენტი თავად იკეთებს მათ საჭიროების შემთხვევაში. მოუხსნელი რეტეინერები, როგორც წესი, ფიქსირდება ბრეკეტების მოხსნის და ყველა შემდგომი პროცედურის მერე. რეტეინერის ფიქსაცია ხდება 2 მეთოდით – პირდაპირი და არაპირდაპირი. პირველი გულისხმობს რეტეინერის ფიქსაციას უშუალოდ პირის ღრუში დამატებითი პროცედურების გარეშე, ხოლო მეორე საჭიროებს რამდენიმე ეტაპს: ანაბეჭდის აღებას, მოდელის მიხედვით რეტეინერისთვის ყბის ფორმის მიცემას, ფიქსაციას კბილებზე, პოლირებას. დამზადების მეთოდს ირჩევს ექიმი-ორთოდონტი. როგორც წესი, რეტეინერის ფიქსაცია არ საჭიროებს დიდ დროს.

– რა რეკომენდაციები გაქვთ რეტეინერების მოვლასთან დაკავშირებით?

– რეტეინერების მოვლის თავისებურებები დამოკიდებულია მის სახეობაზე. მოუხსნელ რეტეინერზე ნადების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა დამატებითი ჰიგიენური საშუალების – ირიგატორის გამოყენება. მოსახსნელი კონსტრუქციებიც აუცილებლად რეგულარულად უნდა იწმინდოთ და დაამუშაოთ სპეციალური ხსნარით.

კონსტრუქცია უნდა შეინახოთ სპეციალური ყუთში. ორივე შემთხვევაში, თუკი ჰიგიენა იქნება არადამაკმაყოფილებელი, ეს გამოიწვევს კბილებზე ნადების და შემდგომში ანთებადი პროცედურების გაჩენას.

აგრეთვე აუცილებელია ორთოდონტის რეგულარული მონახულება, მკურნალობის პროცესის კონტროლირებისთვის. მინიმუმ წელიწადში ორჯერ პროფესიული წმენდის ჩატარება.

– ბრეკეტების შემდეგ რა დროით არის საჭირო რეტეინერების ტარება?

– რამდენი ხანი უნდა გვეკეთოს რეტეინერები, წყვეტს ექიმი ორთოდონტი. როგორც წესი, რეტენციული პერიოდი უდრის ბრეკეტების ტარების გაორმაგებულ დროს. თუმცა, რიგ შემთხვევებში, რეტეინერებს ატარებენ მთელი ცხოვრება. ტარების ხანგრძლივობაზე ზეგავლენას ახდენს ერთდროულად რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის: პაციენტის ასაკი – რაც უფრო მეტია ასაკი, მით უფრო ხანგრძლივია ორთოდონტიული მკურნალობა, პათოლოგიის სირთულე, ამოღებული კბილების არსებობა, პაროდონტის მდგომარეობა და მავნე ჩვევები.

არ შეიძლება დამოუკიდებლად გადაწყვეტა თუ რამდენი ხანი უნდა ატაროთ რეტეინერი. ამას წყვეტს მხოლოდ სპეციალისტი, რადგან ორთოდონტის ინსტრუქციების უგულებელყოფა სავალალო შედეგებს გამოიწვევს.

ქალეიდოსკოპი

დათვი ამერიკის ციხეში მოხვდა

ამერიკის კოლორადოს შტატის ქალაქ დურანგოს საოლქო ციხეში დათვმა შეაღწია. ცხოველი ეკლიანი მავთულხლართებით აღჭურვილ ღობეზე გადაძვრა და საპატიმრო დაწესებულების ტერიტორიაზე აღმოჩნდა. დაცვის თანამშრომლებმა ელექტროსაკეტი დისტანციურად გათიშეს იმის იმედით, რომ დათვი კარს გააღებდა და წავიდოდა. როდესაც ეს არ მოხდა, შერიფის თანაშემწეები შეეცადნენ, ცხოველი გაეგდოთ, მაგრამ მხოლოდ ის მოახერხეს, რომ დათვი ხეზე აძვრა. მოგვიანებით დათვმა ციხის ტერიტორია დატოვა და იქვე მახლობლად მდებარე გორაკებს მიაშურა.

ლა-პლატას ოლქის შერიფის ოფისის წარმომადგენლის, სერჟანტ დენ ბენდერის თქმით, დათვი საკმაოდ დიდი ზომის ცხოველი იყო, მინიმუმ 100 კილოგრამის წონის.

– ჩვენ ხშირად ვხედავთ ირმებს, ცხენირმებიც დადიან, მაგრამ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აქ დათვი პირველად გამოჩნდა, – განაცხადა ბენდერმა. შერიფის ოფისმა ტვიტერში მტაცებელი ცხოველის ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

ფანჯრების მრეცხავის მიერ ნაპოვნი მონეტა სამი ათას ფუნტად შეაფასეს

ბრიტანელმა ფანჯრების მრეცხავმა იშვიათი მონეტა იპოვა, რომელიც სამი ათას ფუნტ სტერლინგადაა შეფასებული. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ისტ-რაიდინგ-ოფ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ კინგსტონ-აპონ-ჰალის მცხოვრებმა 29 წლის რიჩარდ ბერდმა იპოვა ერთი ფუნტი სტერლინგის ნომინალის წუნდებული მონეტა. მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მონეტის ერთ მხარეს ერთი თარიღი იყო მითითებული, ხოლო მეორე მხარეს სხვა თარიღი. ბრედმა ნაპოვნი სამეფო მონეტის ეზოს სპეციალისტებს აჩვენა. მათ მისი ნამდვილობა დაადასტურეს. ნუმიზმატების აზრით, კოლექციონერებმა მასში შესაძლოა სამი ათასი ფუნტი სტერლინგი გადაიხადონ. ბრედი აპირებს გარკვეული დროის მანძილზე დაიცადოს და შემდეგ აუქციონზე გაიტანოს.

90 წლის ავსტრალიელმა სახე ტორტით მოითხუპნა

ავსტრალიის ქალაქ ადელაიდას მცხოვრებმა ნანმა საზეიმო ფოტოსესია მოაწყო, რომლის დროსაც თავისი 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ტორტის ჭამას ხელებით შეუდგა და სახეც მოითხუპნა.

ფოტოსურათების ავტორი გახდა ფოტოსტუდიის კრეატიული დირექტორი ბრიჯიტი. იუბილარი საზეიმოდ გამოაწყვეს. ფოტოების ავტორის თქმით, მას შემდეგ, რაც იუბილარი გათამამდა, მან ცოცხალი და დასამახსოვრებელი ფოტოსურათების გადაღება მოახერხა. ასევე, მისი თქმით, გადაღებების დასასრულს იუბილარმა პენსიონერმა ტორტის ნარჩენები მის თანაშემწეს ესროლა.

ასტროპრომნოზი

11 ივლისისათვის

ვერძი – ცრუ დაპირებებს არ ენდოთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. დიდია მატერიალური ზარალის ალბათობა. **ჯერო** – მოვლენები გონივრულად შეაფასეთ. თქვენს სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. **ტყუპები** – კომერციული აქტიურობა რეკომენდებული არ არის. ვიღაცა თქვენს გაცურებას ცდილობს. **კირჩხიბი** – კონცენტრაცია ერთ კონკრეტულ საკითხზე მოახდინეთ. ფართო ფრონტზე ბრძოლა დღეს დაუშვებელია. **ლომი** – საქმიანი ურთიერთობები შეზღუდეთ. უმჯობესია, დაისვენოთ და გაერთოთ საყვარელი ადამიანების გარემოცვაში. **ქალწული** – ყურადღებას ნუ მოადუნებთ. ფინანსური ოპერაციების დროს მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინეთ. **სასწორი** – პირად ცხოვრებას მიხედეთ. საღამოს დაისვენეთ ან საყვარელი საქმე აკეთეთ. **ღრიანკალი** – იყავით გულღია, სტუმართმოყვარე. სხვისი პრობლემების მოგვარებას შეეშვით. **მშვილდოსანი** – საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. იოლად ნურავის მიენდობით. **თხის რქა** – გადაწყვეტილება გულმოდგინე ანალიზის შემდეგ მიიღეთ. აჩქარება დღეს არ ივარგებს. **მერწყული** – თქვენი საქმე თავმდაბლად აკეთეთ. გაიფართოვეთ ცოდნის არეალი. **თევზები** – ეს დღე გამოირჩევა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მოვლენებით. ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. ტექსტიდან სიტყვასიტყვით მოყვანილი ნაწყვეტი; 2. კერძო მეწარმე სოფლად; 3. პირველი მაჯის საათის შემქმნელი გერმანელი მექანიკოსი; 4. მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის იტალიური ენციკლოპედია; 8. იტალიელი ესტრადის მომღერალი, კინომსახიობი მამაკაცი; 9. სითხის ან აირის წნევის გასაზომი ხელსაწყო; 11. პატარა თევზსაჭერი გემი; 12. აშშ-ს ელჩი საქართველოში; 14. მდინარე ფლორენციაში; 16. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 17. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 19. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 21. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა.

თარაზულად: 5. თვალის რქოვანა გარსის ანთება; 6. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 7. ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი მამაკაცი; 10. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი მექანიკოსი; 13. ოქროს მოპოვებისა და დამუშავების ცენტრი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 15. უმოტორო თვითმფრინავი; 18. დიდი სამგზავრო-სატრანსპორტო გემი; 20. ფრანგული საიუველირო ფირმა; 22. აჭარული ცეკვა; 23. ეკოლოგთა, მწვანეთა საერთაშორისო ორგანიზაცია; 24. კოსმოდრომი იაპონიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. აბსცისა; 3. პანიკა; 8. კამერა; 10. მუნდირი; 11. მერია; 12. დიოპტრი; 14. ანატოლ; 15. კრამიტი; 16. ლეკვი; 19. კარეტა; 20. დიადემა; 21. მანანა.

შვეულად: 1. აგამემნონი; 2. სამუმი; 3. პალიტრა; 4. კობრი; 5. „კაპიტალი“; 6. ფესვი; 7. ლაინერი; 9. კრისტი; 13. პიურე; 17. კომა; 18. რეა.

სკანვორდის პასუხები:

1. არგონი; 2. დარკი; 3. ნიკორა; 4. პერიოდი; 5. აკინაკი; 6. ია; 7. ჩაკ; 8. ლაკმუსი; 9. ასკილი; 10. ბინომი; 11. არ; 12. პა; 13. სუმო; 14. კვაჭალათი; 15. ეტნა; 16. ძუა; 17. მაკა; 18. არკებუზი; 19. ჩანთა; 20. დიანა; 21. მკითხავი; 22. კამეა; 23. ანძა; 24. ჭანარი; 25. „ინდიანა“; 26. აარე; 27. ვირთხა; 28. რაე; 29. არარა; 30. ასალი; 31. სათლი; 32. ანარა; 33. ლა.

სურათებზე: ვანესა მეი; ოლე გუნარ სოლსკიაერი.

გელათის მონასტერი მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში დაბრუნდა

პოლონეთის ქალაქ კრაკოვში მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41-ე სესიაზე მიიღეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება და გელათის მონასტერი მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში დამოუკიდებელი სტატუსით დააბრუნეს.

კომიტეტმა მხედველობაში მიიღო სახელმწიფო მხარის მიერ გაწეული უდიდესი ძალისხმევა და ყველა რეკომენდაციის ზედმიწევნით შესრულება. საქართველომ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და იკომოსთან აქტიური თანამშრომლობით, წამყვანი საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით მოამზადა მოთხოვნილი დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ გელათის სამონასტრო კომპლექსზე მიმდინარე საკონსერვაციო და სარეაბილიტაციო პროცესები სრულ თანხვედრაშია მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის სახელმძღვანელო პრინციპებთან.

გელათის სამონასტრო კომპლექსის იუნესკოს ძირითად ნუსხაში დაბრუნების გადაწყვეტილება კომიტეტის 41-ე სესიაზე, კრაკოვში მიიღეს.

გელათის მონასტერი, ბაგრატის საკათედრო ტაძართან ერთად, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ჯერ კიდევ 1994 წელს შევიდა. 2008 წლიდან მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მითითებების უგულებელყოფით, ბაგრატის სარეკონსტრუქციო პროცესის დაწყების შედეგად, 2010 წელს ბაგრატის საკათედრო ტაძარი და გელათის მონასტერი საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში იქნა გადატანილი.

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის 41-ე კომიტეტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, დასრულდა საქართველოში მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების – მცხეთის ისტორიული ძეგლების და ბაგრატისა და გელათის ძირითად ნუსხაში დაბრუნების გრძელი და რთული გზა.

სახელმწიფო, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და მის მრჩეველ ორგანოებთან თანამშრომლობით, აქტიურად მუშაობს მსოფლიო მემკვიდრეობის ეროვნული წინასწარი ნუსხის განახლებაზე, რაც მყარ საფუძველს ქმნის მომავალ წლებში მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის კონვენციის ფარგლებში ახალი წარმატებული ნომინაციებისათვის, რათა საქართველოს უნიკალური კულტურული და ბუნებრივი მრავალფეროვნება ღირსეულად წარმოჩინდეს მსოფლიო მემკვიდრეობის რუკაზე.

როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ ჟურნალისტებს განუცხადა:

– ერთ სესიაზე გადაწყდა ორივე ტაძრის – ბაგრატის და გელათის – ამბავი. ბაგრატიც და გელათიც, რომლებიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ერთ ნომინაციაში იყვნენ შეყვანილნი, 2010 წელს გადაიყვანეს საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხაში. ამ სესიაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მომხდარიყო საზღვრების მოდიფიკაცია, რაც თავისთავში გულისხმობს, რომ გელათი დარჩა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, ხოლო ბაგრატი აღარ არის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. კომიტეტის ყველა წევრმა ერთხმად აღიარა და ერთხმად განაცხადა, რომ ბაგრატის ტაძარმა, ჩატარებული რეკონსტრუქციის შემდეგ, დაკარგა ზოგადსაკაცობრიო ღირებულება. ჩვენ აღარ ვაპირებთ ამ თემაზე მუშაობის გაგრძელებას, პრობლემებს უკან ვტოვებთ და ახალი ფურცლიდან ვიწყებთ ყველაფერს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიხეილ გიორგაძის განმარტებით კი:

– იუნესკოს მიერ ბაგრატის ტაძრის ძირითადი ნუსხიდან ამოღება მისი ისტორიის დასასრული არ არის. ამით ბაგრატის ისტორია არ დასრულებულა იუნესკოსთან მიმართებაში, რადგან ჩვენ ვიწყებთ ისევ და ისევ იუნესკოს ექსპერტებთან ერთად ჩვენი გერმანელი და პოლონელი პარტნიორების დახმარებით ახალ ნომინაციაზე მუშაობას, რომელიც გულისხმობს ქუთაისის ისტორიული ლანდშაფტის, ისტორიული ზონის ნომინაციის შემუშავებას. რომლის ფარგლებშიც, ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ბაგრატი ისევ იქნება წარმოდგენილი. ამას ვაკეთებთ იმისთვის, რომ მისი რეპრეზენტაცია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების კონტექსტში მაინც არ დაიკარგოს და ამ სახით მაინც იყოს შენარჩუნებული. გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში დარჩენით კი, ძეგლების იუნესკოს ნუსხაში დაბრუნების ძალიან რთული და გრძელი გზა დასრულდა. ვგულისხმობ იმას, რომ შარშან მცხეთა დავაბრუნეთ ძირითად ნუსხაში და ამით, შეიძლება ითქვას, სირცხვილი, რომელსაც საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხაში ყოფნის გამო განვიცდიდით, ჩამოვირეცხეთ. ახლა სამივე ძეგლი გვაქვს ძირითად ნუსხაში და ეს არის კიდევ ერთი წარმატება იუნესკოსთან ურთიერთობაში, რასაც ვულოცავ ყველას.

თბილისში ელექტრონული ბიბლიოთეკები დაამტვრიეს



ბოლო დღეებში თბილისში რამდენიმე ელექტრონული ბიბლიოთეკა დაამტვრიეს. დაზიანებული ბიბლიოთეკების ფოტოები ინტერნეტში გავრცელდა. დედაქალაქში რამდენიმე თვის წინ 50-მდე ქართველი მწერლისა და პოეტის სახელობის ქუჩებზე ელექტრონული ბიბლიოთეკების სტენდები განთავსდა.

„ქალაქი ბიბლიოთეკა“ – ასე უწოდეს პროექტს მისმა ორგანიზატორებმა. ელექტრონული ბიბლიოთეკის საშუალებით მკითხველებს პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებთან ერთად, მათი პუბლიცისტური ნაშრომების, ჩანახატების და წერილების ჩამოტვირთვის საშუალებაც აქვთ.

სამწუხაროდ, ელექტრონული ბიბლიოთეკა მიუღებელი აღმოჩნდა იმ ადამიანებისთვის, ვინც ლიტერატურის ფასი არ იცის და ერთ-ერთი სტენდი დაამტვრიეს.

ინფორმაცია და ფოტო ტატა გამყრელიძემ გაავრცელა:

– რამდენმა ხალხმა იწვალა ამის შექმნაზე და რა უცებ დაულეწავთ.

მოგვიანებით დაზიანებული ელექტრონული ბიბლიოთეკის ფოტოები რეჟისორმა და მსახიობმა ამირან შალიკაშვილი უმცროსმაც გაავრცელა:

– ორი დღის გაკეთებულია. რა გვჭირს, რა! გავუფრთხილდეთ იმას მაინც, რაც კეთდება.

რუსულ მედიაში შოთა რუსთაველზე შეურაცხმყოფელი სტატია გაჩნდა



სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა დავით შემოქმედელმა გავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთში საკმაოდ ავტორიტეტულ, პოპულარულ რუსულენოვან ელექტრონულ ჟურნალ „ქარავანში“ დაიბეჭდა საქართველოსა და ქართული კულტურისადმი სიძულვილით აღსავსე, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური ვრცელი სტატია:

– ქართული კულტურის ექსპანსიის მცდელობა სახეზეა!

რუსეთში საკმაოდ ავტორიტეტულ, პოპულარულ რუსულენოვან ელექტრონულ ჟურნალ „ქარავანში“ (№50, მაის-ივნისი, 2017 წელი) დაიბეჭდა ისტორიკოსისა და აღმოსავლეთმცოდნის, ფელიქს კურცვაილის, საქართველოსა და ქართული კულტურისადმი სიძულვილით აღსავსე, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური ვრცელი სტატია სათაურით: „შოთა რუსთაველი სპარსული პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალე მთარგმნელი და არა – პოეტი“.

საქართველოს მთავრობისაგან მოვითხოვთ:

1. ფელიქს კურცვაილი საქართველოში გამოცხადდეს პერსონა ნონ გრატად;

2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეიტანოს სარჩელი სასამართლოში, რომ ფელიქს კურცვაილმა ქართული კულტურის შეურაცხყოფისათვის საჯაროდ ტელევიზიით და ასევე აღნიშნულ ჟურნალ „ქარავანში“ მოიხადოს ბოდიში;

3. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გააკეთოს მკაფიო, პროტესტის სახით გამოხატული განცხადება.

ქართველმა მოდელმა დოლჩე და გაბანას ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა

ქართველმა მოდელმა თათია ახალაიამ მსოფლიოში ცნობილი ბრენდის დოლჩე და გაბანას ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც იტალიის ქალაქ პალერმოში გაიმართა.

21 წლის ქართველმა მოდელმა ბრენდის კოსტიუმები 400 სტუმარს წარუდგინა, მიწვეულ სტუმართა შორის იყვნენ მსოფლიო ვარსკვლავები ჯორჯ კლუნი, მადონა, ბრედ პიტი, რობერტ დე ნირო...

დოლჩე და გაბანას ჩვენებამდე თათიამ მონაწილეობა მიიღო პარიზის მოდის კვირეულში, სადაც დიზაინერებმა შემოდგომა-ზამთრის კოლექციები წარმოადგინეს. ქართველმა მოდელმა მსოფლიოში ცნობილი ბრენდების ჰერმესის და მიუ მიუს სამოსი წარმოადგინა.

თათია „აისი მოდელ მენეჯმენტის“ მოდელია. ის 2 წლის წინ საერთაშორისო სამოდელო კონკურსის ელიტ მოდელ ლუქის გამარჯვებული გახდა და მისი წარმატებული კარიერა მსოფლიო სამოდელო ბიზნესშიც სწორედ აქედან დაიწყო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

სამშაბათი 11 ივლისი

07.00 დოკ/ფ "ყველაზე გემრიელი კერძები მსოფლიოში" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ქვეღი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45, 04.40** "კაცების დრო" **13.45** "გურმანია" **14.15** "წიგნების თარო" **15.00, 02.40** C - სტუდია **16.30, 05.40** "დღე მუზეუმში" **17.00, 03.40** "რეალური სივრცე" **18.30** "ტელებლოგი" **20.40** "სპორტის დაფა" **20.55 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. აზერბაიჯანის "**ყარაბახი**"-"**სამტრედია**" **23.00** მხ/ფ "**ბოპაზი**" **01.10** მხ/ფ "**ქეი 9**"

08.00 დოკ/ფ "კოდის კონცხი" **09.00** დოკ/ფ "ღრუბელი სამყაროს თავზე" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** "აფხაზეთი" **11.00** დოკ/ფ "პოლი ვირილიო-სიჩქარის ფილოსოფოსი" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩანტო ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "დრაკონების მუზეუმი" **15.00** დოკ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **17.00** დოკ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" **18.00** დოკ/ფ "ჩირლიდერები" **19.00** "თაკისუფალი ტრიბუნა **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "მოამბე" (3 ეფაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ძალიშვილები**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პაპარაცალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **2** სერ. **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ძმა**" **7** სერ. **22.00** ცოდნა ფულია **23.30** მხ/ფ "**მცველი**" **01.15** მხ/ფ "**სინოპაციოსი**" **03.15** მხ/ფ "**შეუჩერებელნი 2**"

შესაძლებელია ცვლილებები არხის ბადეში. 06.00, 18.30 სერ. **06.45, 20.03** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**ინდური საბა**" **16.55** სერ. "**დაკარგული ნლები**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი

09.00 სერ. ""**ერთხელ ზღაპარში**" **13.00** სერ. "**მობივი**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **19.00** სერ. "**ბავი სია**" **21.00** სერ. "**მაფიოზა**" **22.30, 01.00, 03.55, 06.30** მხ/ფ

08.00 ანანდა **08.15** მულტ/ფილმი **08.30** სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 2.40** ახალი ამბები **11.25** სერ. "**მეომრები**" ატილა II ნაწ. **11.50** ავტომანი **12.05** მოდი გავიყოროთ **13.00, 04.10** ბიზნესკოდი **15.00 3**-დან **5**-მდე **16.25** სერ. "**ფოილის ომი**" **18.00, 0.00** ფაბრიკა **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 03.10** პიროირიტეტი **21.30** კრაზანა **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **1.00** მხ/ფ "**ყინულის კაცი**"

06.10 სპექტაკლი "**ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს**" **07.40** დ/ფ "ველური ბუნება-ყარყატები და წავები" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **10.45** პატერიკი-უღირსი მსახურების შესახებ" **10.40** დ/ფ "პოლუსიდან პოლუსამდე" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მოკ. მხ/ფ "**ცოტნე დადიანი**" **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "ნაძერწი ფიგურები" **15.05** ქართული ან/ფ **15.15** დ/ფ "ველური ბუნება" **15.45** დ/ფ "მარტოსულები" **17.10** ქრისტიანული ხელოვნება "კედლის მხატვრობა" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** სამყაროს შექმნა **19.30** კვირიაკის სიუჟეტი. "მიხეილ მესხი" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა "წიქარა" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კაკკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ევერიის ეკლესია "საეკლესიო სპარატიზმი სამცხეში" **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

07.00 - 03.00 ახალი ამბები **07.15 - 02.15** სპორტი **07.30 - 02.30** ახალი ამბები მსოფლიო **10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

თამუნა მუსერიძე საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გაუშვეს



საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში რეორგანიზაცია მიმდინარეობს. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით თანამშრომლებს სამსახურიდან ათავისუფლებენ. გათავისუფლებულ თანამშრომლებს შორის მოხვდა ცნობილი ტელეწამყვანი და ჟურნალისტი თამუნა მუსერიძე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელის ვასილ მაღლაფერიძისგან ოფიციალური წერილი მიიღო, სადაც აღნიშნულია, რომ 17 ივლისიდან მას შრომითი ხელშეკრულება შეუწყდება.

თამუნა მუსერიძე:

– და აი დასრულდა ჩვენი 7-წლიანი თანამშრომლობა. მადლობა ჩემი გაძლებისთვის.

თამუნა მუსერიძე ბოლოს გადაცემაში „კაცების დრო“ მუშაობდა, სადაც სხვადასხვა თემებზე სიუჟეტებს ამზადებდა. მანამდე კი ის დილის გადაცემის წამყვანი და მოგვიანებით პროდიუსერიც იყო.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვალერი ურიდია: საახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფეხები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მემჩნევა.

თამარ ხარხელი: მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შვება მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სიწითლეც აღარ შეინიშნება.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.3966

ევრო — 2.7352

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0897

100 რუსული რუბლი — 3.9663

ამინდის პროგნოზი 11 ივლისისთვის

29 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი ოცდაათი წლის ქალი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

უეინ რუნი ოფიციალურად ევერტონის ფეხბურთელია

მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდა უეინ რუნი ოფიციალურად ევერტონის ფეხბურთელი გახდა. რუნიმ ევერტონთან 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, სატრანსფერო თანხის რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია.

ევერტონი რუნისთვის კარიერაში პირველი გუნდი იყო და სწორედ იქ დაიწყო მისი კარიერა. უეინმა ევერტონი 2004 წელს დატოვა და მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელი გახდა, რის შემდეგაც მან ამ გუნდის შემადგენლობაში 253 გოლის გატანა შეძლო, რაც მანჩესტერის რეკორდია.

ბოლო სეზონში რუნიმ დაკარგა იუნაიტედის ძირითად შემადგენლობაში ადგილი, ამიტომ მისი წასვლა არავის გაკვირვებია.

უახლოეს დღეებში რუნი ევერტონში ვარჯიშს დაიწყებს.

ალექსის სანჩესი არსენალში თამაშზე უარს აცხადებს



არსენალის ჩილელი ფეხბურთელი ალექსის სანჩესი არსენალს ტურნეში არ გაყვა, რაც იმის ნიშანია, რომ სანჩესი ამ გუნდში თამაშზე უარს აცხადებს.

რამდენიმე კვირის წინ ალექსისმა არსენალს ხელფასის გაზრდა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო, ამიტომ ჩილელმა ფორვარდმა ლონდონური გუნდიდან წასვლა მტკიცედ გადაწყვიტა. სანჩესის შეძენა საკმაოდ ბევრ კლუბს სურს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია თუ რომელ გუნდში გააგრძელებს ალექსისი კარიერას.

ერთ-ერთი ყველაზე რეალური ვარიანტი მანჩესტერ სიტია, რომელიც თავდამსხმელის შეძენას აპირებს და შესაძლოა არჩევანი სანჩესზე შეაჩეროს.

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, ჩემმა მეზობელმა ცოლი მოიყვანა.

– მერე?

– მერე, ისეთი პატარა მკერდი აქვს, „ზელიონკა“, რომ წაისვას, მოურჩება.

•••

პატრული გზაზე დგას. ამ დროს გვერდით ფოლკსვაგენ-გოლფი ჩაუვლის. მოულოდნელად პოლიციელი მკვეთრი მოძრაობით გაჩერებას ანიშნებს და პისტოლეტს ამოიღებს. მძღოლმა მანქანა ისე მკვეთრად დაამუხრუჭა, რომ კინაღამ საქარე მინა თავით გაიტანა, გაფითრებული, მანქანიდან გადმოვიდა და მასთან მისულ პატრულს ხმის კანკალით ეკითხება:

– რა მოხდა?

– არაფერი ისეთი, უბრალოდ, მეც გოლფის ყიდვა მინდა, არადა, ამბობენ, რომ მუხრუჭები სუსტი აქვსო...

•••

ქალი ექიმს ურეკავს და ეუბნება:

– ექიმო, ჩემმა ბავშვმა ქვიშა შეჭამა. ბევრი წყალი დავალევინე და ახლა როგორ მოვიქცე?

– თვალი გეჭიროთ, რომ ცემენტთან არ მივიდეს!!!

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– როდესაც მამაკაცები მეკითხებიან, რომელ წელს დავამთავრე სკოლა, მე მათ სიმართლეს ვეუბნები.

– ???

– მათ ხომ არ იციან, რომ ყოველ კლასშო ორ-ორი წელი მაქვს გატარებული.

•••

ქალი მეგობარ მამაკაცს ეუბნება:

– რატომღაც მგონია, რომ შენ სხვა ქალიც გყავს.

– არ ვიცი, იმასაც სულ მუდამ ასე ეჩვენება...

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– ქალბატონო, მინდა თქვენს თვალებში ჩავიძირო!

– მართლა? დაიცადეთ, ჯერ არ ამივსია...

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ქმარი, ჭურჭელი რომ არ დარეცხოს, თეფშებზე ცელოფანს აკრავს. ჭამის შემდეგ კი აძრობს და ყრის. ასე რომ, თეფშს გარეცხვა აღარ სჭირდება.

– მართლა? გენიოსი ქმარი გყოლია!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



13 ივლისიდან

ლაშა იმედაშვილი სამი მკვლელობა ძველ თბილისში პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ხამესით ბაიერნიც დაინტერესდა

მადრიდის რეალის კოლუმბიელი ფორვარდით ხამეს როდრიგესით მიუნხენის ბაიერნიც დაინტერესდა. ხამესს საკმაოდ ბევრი მსურველი ჰყავს და ერთ-ერთი მათგანი მანჩესტერ იუნაიტედია, რომელიც ხამესის ტრანსფერში 80 მილიონ ევროს იხდის.

ხამესმა სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო რეალის დატოვების სურვილი გამოთქვა, ამიტომ მისი მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია.

რეალი თავისი ფორვარდის დათმობას იაფად არ აპირებს და ბაიერნს ხამესის გადაბირება, მინიმუმ 60 მილიონი ევრო დაუჯდება.

ხამესი რეალის ღირსებას 2014 წლიდან იცავს.

ჯაბა კანკავამ შესაძლოა კარიერა რუსეთში გააგრძელოს

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ჯაბა კანკავამ კარიერა შესაძლოა რუსეთის პრემიერ ლიგის ერთ-ერთ გუნდში გააგრძელოს. ამ გუნდის ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება, მაგრამ თუ ფრანგულ პრესას დავუჯერებთ, ინტერესი რეალურია.

კანკავა ამჟამად რეიმსში თამაშობს, რომელიც საფრანგეთის პირველ ლიგაში დაბრუნდა. შარშანდელ სეზონში კანკავას მეორე დივიზიონში მოუწია თამაში, მაგრამ მისი გუნდი უმაღლეს ლიგაში მალე დაბრუნდა.

რეიმსში გადასვლამდე კანკავა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე უკრაინული დნიპროს ღირსებას იცავდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა



ჯოსვოიდი ↓

შვეულად: 1. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 2. ქვის ბოძებზე დადგმული ხის სახლი დასავლეთ საქართველოში; 3. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 4. ცხარე საწებელი; 5. მარნეულის ძველი სახელწოდება; 8. მკბენარა მწერი; 9. სრული ბრუნი ცალი ფეხის თითის წვერებზე ცეკვაში; 10. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 12. სრული მარცხი, კრახი; 13. თავადაზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული ევროპაში; 15. უძრავი ქონების დროებით დაქირავება.

თარაზულად: 1. ქართული ხალხური საგმირო-პატრიოტული სიმღერა; 6. სმენის განსავითარებელი ვოკალური სავარჯიშო მუსიკაში; 7. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი; 10. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 11. ეკლესია-მონასტრისათვის შემოწირულთა სარეგისტრაციო დავთარი ძველად; 13. პოპულარული ჰოლანდიური ყველი; 114. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 16. ორნახშირმჟავა ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 17. ქართული ძილისპირული; 18. იტალიელი მოდელიორი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

პატარა ანტილოპა გნუს მანქანა დედა ეგონა და ექვსი კილომეტრი სდია

სამხრეთ აფრიკაში მოგზაურობის დროს ტურისტებმა ვიდეოზე გადაიღეს ანტილოპა გნუს ნაშიერი, რომელმაც ავტომობილი თანამომძედ ჩათვალა.

ტურისტებმა ზახირიმ და ასმა ალიმ კგალაგადის ეროვნულ პარკში, რომელიც ბოტსვანის და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საზღვარზე მდებარეობს, ანტილოპა გნუს ნაშიერი შენიშნეს, რომელიც მათ წინ მიმავალ ავტომობილს აეკიდა.

– ჩვენ მივხვდით, რომ ის სავარაუდოდ დაიკარგა და მანქანა დედაში აერია, – განაცხადა ზახირმა, – ის ინსტინქტურად მისდევდა დიდ მოძრავ ობიექტს, ისე, როგორც ამას ჯოგში გააკეთებდა.

პატარა ანტილოპა ძლივს მოსდევდა მანქანას, კინაღამ შემხვედრი ტოიოტას ბორბლებ ქვეშ აღმოჩნდა, მას გაეკიდა და საბოლოოდ მიეკედლა ავტომობილს, რომელშიც ზახირი და ასმა იმყოფებოდნენ. მათ ის გნუების უახლოეს ჯოგთან მიიყვანეს.

– პატარა გნუ გაჩერდა, ხუთ წამში მასთან დედამ მიირბინა და ისინი ჯოგს შეერივნენ, – განაცხადა ზახირმა.

საერთო ჯამში, ანტილოპას ნაშიერმა ავტომობილს თითქმის ექვსი კილომეტრის მანძილზე სდია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა